განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი**

**ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოფელ ჭალის განყოფილება**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ***ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე***

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ***მარეხი ნიკოლაძე***

კვების დარგში ექსპერტი: ***მირანდა გორგილაძე***

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ***შოთა მახარაძე***

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი. |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 239396346 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოფელ ჭალის განყოფილება |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | N.I.E .SACHKHERE UNITED KINDER GARTEN |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | საქართველო, საჩხერე, თავისუფლების ქუჩა, #3 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალა, 1-ლი ქუჩა, N6 |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |

## 3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |

## 4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | **MES 6 26 0000466908 22/04/2026** |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | **2026 წლის 04 - 05 მაისი** |

## 5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
|---|---|
| | |

## 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|

[1] აისახოს მხოლოდის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებითშესაძლებელია დაემატოს ველები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2.სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“ | ქართული | | 50 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისადა განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებულ საბავშვო ბაღში ვიზიტის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის N MES 6 26 0000466908 ბრძანების შესაბამისად შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე); ბ) მარეხი ნიკოლაძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი); გ) მირანდა გორგილაძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი); დ) შოთა მახარაძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი) განახორციელა ვიზიტი სტატუსის მაძიებელ, ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოფელ ჭალის განყოფილებაში 2026 წლის 04-05 მაისს. ექსპერთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების (შემდგომში - დროებითი წესი) მე-6 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში საქმიანობა განახორციელა წინასწარ შედგენილი გრაფიკის-დღის წესრიგის მიხედვით. თითოეული სტანდარტის, კომპონენტის, კრიტერიუმის და ინდიკატორის მიხედვით შეფასებული იქნა ყველა საკითხი. შედგა ინტერვიუები, მოხდა დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა - შეფასება, სივრცის ვიზუალური დათვალიერება, ვიზიტის ბოლოს გამოითქვა ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი შედგა მშვიდ და საქმიან გარემოში. დასრულდა იგი პოზიტიური მოლოდინებით და მზაობით ცვლილებებისადმი. მომდევნო ეტაპზე ჯგუფის წევრებმა მოამზადეს თავიანთ კომპეტენციას მიკუთვნებული მიმართულების დასკვნა, რომელიც აისახა ერთიან ფორმაში - ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა“.

1. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა პირველი სტანდარტი, მე-4 სტანდარტის პირველი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 კომპონენტები;
2. კურიკულუმის ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-2 სტანდარტი და მე-3 სტანდარტი;
3. კვების დარგში ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-4 სტანდარტის მე-4 კომპონენტი;

4. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-4 სტანდარტის მე-5 კონპონენტი;

შედეგი ასეთია:
**პირველი სტანდარტი** ექსპერტების მიერ შეფასდა **შესაბამისად და დაემთხვა** დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით წარმოდგენილ პირველი სტანდარტის შეფასებას;
**მე-2 სტანდარტი** ექსპერტების მიერ შეფასდა **მეტწილად შესაბამისად** და ის **არ დაემთხვა** დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით მე-2 სტანდარტის შეფასებას - **,,შეესაბამება"**
**მე-3 სტანდარტი** ექსპერტების მიერ შეფასდა **შესაბამისად** და ის **დაემთხვა** დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით წარმოდგენილ მე-3 სტანდარტის შეფასებას;
**მე-4 სტანდარტი** ექსპერტების მიერ შეფასდა **შეუსაბამოდ** და ის **არ დაემთხვა** დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით მე-4 სტანდარტის შეფასებას - **,,მეტწილად შეესაბამება".**

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*
......................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

......................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>*(პროგრამის სახე)* სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა<br>*(კურიკულუმის დასახელება)* 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“<br>2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ | | |
| 2. კურიკულუმი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი


1.1. დაწესებულების მისია 11

1.2. სტრატეგიული განვითარება 15

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა 22

2.2. კურიკულუმის განხორციელება 30

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება 46

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა 50

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება 54

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება 57

4.2. პროცესების მართვა 74

4.3. მატერიალური რესურსი 79

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი 80

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები 80

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება 80

4.7. ფინანსური რესურსი 92

## 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს **მისია, ხედვა და ღირებულებები,** რომელიც დეკლარირებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა" (დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N 148 ბრძანებით).**

მისია შემდეგნაირად ჟღერს -,,ჩვენი დაწესებულების მისიაა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და კეთილდღეობაზე ორიენტირებული, უსაფრთხო, მეგობრული, ინკლუზიური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას, ცხოვრებისა და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას;

მისიით გასაზღვრულია მისი შინაარსობრივი მოთხოვნა, ძირითადი დანიშნულება. იგრძნობა ინსტიტუციურად მდგრად განვითარებაზე ორიენტირება, მისიაში ჩანს დაწესებულების იდენტობა და ძირითადი მიზეზი და მიზანი, რისთვისაც საერთოდ არსებობს ეს დაწესებულება, მოიცავდეს თემებს-ბავშვის განათლება, გონებრივი და ფიზიკური განვითარება, უსაფრთხოება, კეთილდღეობა, წარმატება, პოტენციალი, უნარები და შესაძლებლობების განვითარება. წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი, გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილ დეკლარირებულ დოკუმენტში განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები.

დაწესებულების **ხედვაა**: **,,** ჩვენი ბაღის ხედვაა, გავხდეთ საკმარისი რაოდენობის კომპეტენტური, ღირსეული სამუშაო პირობებით უზუნველყოფილი თანამშრომლებით დაკომპლექტებული, კეთილმოწყობილი, უსაფრთხო, მრავალფეროვანი რესურსებით აღჭურვილი დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია მშობლებთან, თემთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს ბავშვის საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილება

დაწესებულების ხედვით განსაზღვრულია პერსპექტივა ხუთწლიან (2026 წლიდან 2031 წლამდე) პერიოდზე; ჩანს მიზანზე ორიენტირებული სასურველი შედეგი. არის ამბიციური და მისიიდან გამომდინარე სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითადი ორიენტირი, მოცემული დროის პერიოდში დაწესებულების წარმატება გაზომვადია.

დაწესებულების **ღირებულებები** გამომდინარეობს მისიიდან და ის შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

- ✓ დაწესებულების საბავშვო ბაღებში პოზიტიური გარემოს ფორმირება;
- ✓ სამართლიანობის პრინციპის დაცვა;
- ✓ ბავშვთა უფლებების დაცვა;
- ✓ განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვა;
- ✓ ღიაობა;
- ✓ თანამშრომლობა და გუნდურობა;

ეს არის ის ძირითადი პრინციპები, რომელთა დაცვითაც მუშაობენ სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში, რაც დადასტურდა ვიზიტის პარიოდში მიღებული ინტერვიუებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები დაწესებულებას დარეგულირებული აქვს დოკუმენტით **„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი " (გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N134 - „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებებში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის "** დამტკიცების შესახებ) მუხლი 4-8

დოკუმენტში გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავების, ჩართულობის, გაზიარების, უკუკავშირის და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი, განსაზღვრულია დაინტერესებულ მხარეთა წრე, შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის მექანიზმები, განსაზღვრული აქვთ დაინტერესებული მხარეების წრე.

დაწესებულებამ ინდიკატორის შესაბამისობის მტკიცებულებად წარმოადგინა **„ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" მისიის, ხედვის და ღირებულებების, ასევე, სტრატეგული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N130 და სამუშაო ჯგუფის სხდომის 1 ოქტომბრის ოქმი N1, სამუშაო ჯგუფის სხდომის 4 ოქტომბრის ოქმი N2 და ოქმი N3.** სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: გაერთიანების დირექტორი, განყოფილებების გამგეები, აღმზრდელები, გაერთიანების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერიისა და თემის წარმომადგენლები, განათლების რესურს-ცენტრის შესაბამისი თანამშრომელი, აღსაზრდელის მშობელი. პროცესებზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია გაერთიანების დირექტორი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები დაწესებულებას დარეგულირებული აქვს დოკუმენტით **„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი " (გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N134 - „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებებში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის "** დამტკიცების შესახებ) მუხლი 6-8

დოკუმენტში გაწერილია შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების და საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმი, განსაზღვრულია გზები, ხერხები, საკომუნიკაციო არხები, განსაზღვრულია დაინტერესებულ მხარეთა წრე და მათთვის სასურველ ფორმატში გაზიარების შესაძლებლობა. მექანიზმებით უზრუნველყოფილია გაზიარების გააზრების ორივე ასპექტი - გააზიარება, როგორც თანამოაზრეობის, თანაზიარობის, თანამონაწილეობის განცდის შესაძლებლობა და გაზიარება, როგორც ხელმისაწვდომობა, დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა.
აღნიშნულს გარდა დაწესებულებას შემუშავებული აქვს **„საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი"** ((**გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N167 - „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებებში „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის"** დამტკიცების შესახებ).

ინდიკატორის შესაბამისობის მტკიცებულებად დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები განთავსებულია სოციალურ ქსელში - დაწესებულების Facebook გვერდზე, გამოკრულია უშუალოდ დაწესებულებაში საინფორმაციო დაფაზე და შეტანილია დაწესებულების მნიშვნელოვან დოკუმენტებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“
2. „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის“ დამტკიცების შესახებ გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N 148 ბრძანება.
3. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი “
4. „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ დამტკიცების შესახებ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N134;
5. „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ მისიის, ხედვის და ღირებულებების, ასევე, სტრატეგული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N130;
6. სამუშაო ჯგუფის სხდომის 1 ოქტომბრის ოქმი N1, სამუშაო ჯგუფის სხდომის 4 ოქტომბრის ოქმი N2 და ოქმი N3.
7. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი („ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N167;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

## 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობის დასადასტურებლად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი **„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი “ (გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N134 - „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის** “ დამტკიცების შესახებ) და სტრატეგიული დაგეგმარების პროცესს წარმართავს ამ მეთოდოლოგიის მიხედვით. მარეგულირებელი დოკუმენტი ერთიანად ფარავს როგორც

მისიის, ხედვის და ღირებულების შემუშავება/გაზიარების საკითხებს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/მონიტორინგი/შეფასების თემებს.

მეთოდოლოგიაში გაწერილია  სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის, შემუშავებული გეგმების მონიტორინგის, შესრულების/განხორციელების შეფასების/მასალების შეგროვების/ანალიზის/რეაგირების და ცვლილებების შეტანის მექანიზმები და მეთოდები, განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და ჩართულობის/გაზიარების მეთოდები და მექანიზმები, პასუხისმგებელი პირები ყველა ეტაპზე, ჩანს დაგეგმვის პროცესების ციკლურობა, რომელიც იწყება გეგმების შემუშავებით და მთავრდება მზადებით ახალი გეგმის შედგენისათვის - თუ  რა გზას გადის დოკუმენტი შედგენა/ჩამოყალიბების თვალსაზრისით, როგორ ხდება დამტკიცება და ცვლილების გაცნობა, გაზიარება დაინტერესებულ პირებთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს **დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის  N148 ბრძანებით.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტში **,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში“** სტრატეგიული გეგმის შემუშავება ეფუძნება დაგეგმვის არჩეულ მეთოდს-SWOT ანალიზს. გაწერილია:  **პირველი,** სტრატეგიული გეგმის ხანგრძლივობა და ციკლურობა - რომ, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება იწყება წინა გეგმის ბოლო წელს, **მეორე,** შესაბამისობაშია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებასთან და არის მათი რეალიზების გზა - რომ დაგეგმვის პროცესი მოიცავს არსებული მდგომარეობის

შეფასებას, იდენტიფიცირებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, იკვეთება კავშირი ხედვასთან, რა მდგომარეობასთანაც უნდა მივიდეს დაწესებულება გეგმის განხორციელებით გარკვეული დროის პერიოდში და **მესამე,** განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის ელემენტები - მიზნები და ამოცანები, მიზნები გამომდინარეობს მისიიდან, მიმართულია კომპლექსური გამოწვევების გადაჭრაზე, ხოლო ამოცანები თანხვედრაშია მიზანთან. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის ფორმატი და ის წარმოდგენილია  როგორც ნარატივის, ასევე ცხრილის ფორმით. მეთოდოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებითაა შემუშავებული დაწესებულების სტრატეგიული გეგმა. გეგმით განსაზღვრულია 5 ძირითადი მიზანი, თითოეულ მიზანს აქვს შესაბამისი ამოცანები და გაზომვადი ინდიკატორები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მიერ დამტკიცებული დოკუმენტით -„ა.(ა).ი.პ. **საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებებში  „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი"** (**ბრძანება N134 1 ოქტომბერი 2024 წ.**)  გაწერილია სამოქმედო გეგმის შემუშავების, გაზიარების, შესრულების და ანგარიშგების მექანიზმები, ხოლო დოკუმენტით - **„ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა" (2025 წლის 31 დეკემბრის  N148 ბრძანება),**  დასტურდება დაწესებულების 2026 წლის სამოქმედო  გეგმის გამომდინარეობა სტრატეგიული გეგმიდან.  წესში გაწერილია, რომ სამოქმედო გეგმა ერთწლიანია და ემთხვევა **კალენდარულ**  წელს, რომ ის უნდა ეფუძნებოდეს წინა წლის თვითშეფასების შედეგებს და თვითშეფასების დროს იდენტიფიცირებულ გამოწვევებს. აქ აღსანიშნავია, ერთი გარემოება, რომ დაწესებულებამ ერთ დოკუმენტად შეიმუშავა „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა" და 2026 წლის სამოქმედო გეგმაც, რომელიც დამტკიცებული აქვს 2025 წლის 31 დეკემბერს, ხოლო 2026 წლის 9 იანვარის N2 ბრძანებით ისევ დაამტკიცა დაზუსტებული ვერსია „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" 2026 წლის სამოქმედო გეგმა" .

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2026 წლის 9 იანვარის N2 ბრძანებას დანართის სახით დაურთოს თავად დოკუმენტი - 2026 წლის სამოქმედო გეგმის დაზუსტებული ვერსია.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებული დოკუმენტით -,,ა.(ა).ი.პ. **საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი “** (**ბრძანება N134 1 ოქტომბერი 2024 წ.) მუხლი 11 - სამოქმედო გეგმის შემუშავება,** გაწერილია, რომ (ციტატა) ,,სტრატეგიული გეგმიდან და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა **სასწავლო** წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას“. ასევე გაწერილია სამოქმედო გეგმის შედგენის ეტაპები, ცვლილებების შეტანის წესი. გაწერილია, რომ დაწესებულების ფარგლებში შემავალი საბავშვო ბაღებისათვის მუშავდება ერთი სამოქმედო გეგმა, სადაც თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია ის კონკრეტული საბავშვო ბაღები, რომელთათვისაც რელევანტური იქნება კონკრეტული აქტივობის შესრულება. ასევე, გაწერილია რომ, ყოველ მომდევნო სამოქმედო გეგმაზე მუშაობა იწყება, წინა სამოქმედო გეგმის დასრულებამდე არანაკლებ 3 თვით ადრე და ახალი სამოქმედო გეგმის ამოცანები ბმაშია (თანმიმდევრულია) წინა სამოქმედო გეგმასთან. გაწერილია სამოქმედო გეგმის სავალდებულო შესავსები ველები: ა) სტრატეგიული მიზანი; ბ) ამოცანა; გ) აქტივობა (საჭიროების შემთხვევაში - ქვეაქტივობაც); დ) შესრულების ინდიკატორი; ე) განხორციელების ვადა თვეების ჭრილში; ვ) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული; ზ) შესაბამისი რესურსები (დაფინანსების წყარო, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი);

მოცემული ინდიკატორის დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტი - **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“ (2025 წლის 31 დეკემბრის N148 ბრძანება),** რომელიც მოიცავს 2026 წლის სამოქმედო გეგმას, არ არის

თანხვედრაში მეთოდოლოგიით დადგენილ განხორციელების პერიოდთან - არ ემთხვევა სასწავლო წელს, ემთხვევა **კალენდარულ** წელს იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით.

რაც შეეხება 2026 წლის სამოქმედო გეგმის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის რეალისტურობის შეფასებას, ის დამოკიდებულია გეგმის ერთ - ერთ მთავარ რეკვიზიტზე - აქტივობის განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ რესურსზე. გეგმაში ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში მითითებულია მხოლოდ დაფინანსების წყარო (ადგილობრივი ბიუჯეტი), მაგრამ საჭირო ფინანსური რესურსი გათვლილი არ არის, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაერთიანებისათვის გამოყოფილი ასიგნება გათვლილია მხოლოდ პროგრამული ბიუჯეტით დამტკიცებული მიმდინარე ხარჯების დასაფარად.

არსებულ ვითარებაში არ არის შესაძლებელი დადგინდეს გეგმის რეალისტურობა, ანუ შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება დაწესებულებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურესით გეგმაში მითითებულ ვადებში, მიუხედავად, ვიზიტის პერიოდში გაერთიანების დირექტორისა და მთავარი ბუღალტრისაგან მიღებული განმარტებებისა და დამფუძნებლისათვის /მერისათვის არგუმენტირებული საჭიროებების წარდგენის შემთხვევაში, ბიუჯეტური ასიგნებების გაზრდის შემთხვევების წარმოდგენისა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ დააკორექტიროს -,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი “ (ბრძანება N134 1 ოქტომბერი 2024 წ.) სამოქმედო გეგმის პერიოდის განსაზღვრის საკითხში (კალენდარული ან სასწავლო წელი).
სამოქმედო გეგმის თითოეული აქტივობისათვის გათვალოს სავარაუდო ფინანსური რესურსი, რითაც დადასტურდება სამოქმედო გეგმის რეალისტურობა და უზრუნველყოფა ფინანსური რესურსით - როგორც არსებული ასიგნების ფარგლებში, ასევე სავარაუდო დამატებითი წყაროებით (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ქვეპროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების გარდა, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმით, ასევე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული პროექტების/აქტივობების დასაფინანსებლად გამოყოფილი ფინანსური რესურსების არსებობა).

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ საკუთარი საქმიანობის განმახორციელებელი ნებისმიერი აქტივობა, რომლისათვის ფინანსური რესურსების დადასტურებაა საჭირო, ერთმანეთთან თანხვედრაში გაწეროს მოცემული პერიოდისათვის მოქმედ გეგმებში - სამოქმედო გეგმაშიც, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაშიც და მიმდინარე პროგრამული ბიუჯეტის ხარჯებშიც.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,** კერძოდ, დაწესებულება სამოქმედო გეგმის თითოეული აქტივობისათვის გათვლის სავარაუდო ფინანსურ რესურს, რითაც დაადასტურებს სამოქმედო გეგმის რეალისტურობას და მის უზრუნველყოფას ფინანსური რესურსით - როგორც არსებული ასიგნების ფარგლებში, ასევე სავარაუდო დამატებითი წყაროებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში.
**გარდა ამისა** დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად წარმოადგინა - 2026 წლის 3 ივნისის ბრძანება N65 ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებებში ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში " (ბრძანება N134 1 ოქტომბერი 2024 წ) ცვლილების შეტანის თაობაზე და სამოქმედო გეგმის პერიოდად განსაზღვრა კალენდარული წელი, რითაც სრულად აღმოფხვრა მოცემული ინდიკატორის პირველი მიმართულების შეუსაბამობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებული დოკუმენტით -**,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებებში ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი " (ბრძანება N134 1 ოქტომბერი 2024 წ.)** გაწერილია გეგმის შესრულებაზე თვალყურის დევნების მექანიზმი-მონიტორინგი და დაკვირვების შედეგების გაანალიზება - შეფასება. (მუხლი 13) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმებას, გამოწვევების გამოვლენასა და რეკომენდაციების განსაზღვრას. 2. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ- შუალედურ პერიოდში (2.5 წელი) და ბოლოს. 3. სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები და დაწესებულებას საშუალება ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები და ამოცანები, ხოლო საბოლოო შეფასების ძირითადი მიზანია შემდგომი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის ინფორმაციის უზრუნველყოფა. საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს შესაძლებელი გახდეს შედეგების გამოყენება შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. 4. დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს 6 თვეში ერთხელ, ხოლო შეფასებას წლიურად. 5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ხოლო შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. 6. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები დაწესებულებას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს დაწესებულება იყენებს შემდგომი განვითარებისათვის. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის დაწესებულება იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს.

მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2.5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. სამოქმედო გეგმის ანგარიში ყალიბდება ნარატიული ფორმით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებული დოკუმენტით -„ა.(ა).ი.პ. **საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი “ (ბრძანება N134 1 ოქტომბერი 2024 წ.)** გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა/გაზიარების/საჯაროდ ხელმისაწვდომობის/ გამოქვეყნების უზრუნველყოფის მექანიზმები. ეს არის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის შედგენა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა. თავად გეგმები და მონიტორინგის შედეგები არ ზიარდება და არ საჯაროვდება. დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ისინი განთავსდება დაწესებულების Facebook გვერდზე. ანგარიშების გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები ესენია: ა) ელექტრონული ფოსტა; ბ) სოციალური მედია (Facebook) გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ) დ) ბეჭდვითი მასალები (ფლაერები, ბანერები და ა.შ) ე) ელექტრონული პლატფორმები (მაგ. Zoom, Teams).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“
2. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის“ დამტკიცების შესახებ გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N 148 ბრძანება.
3. ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი “
4. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ დამტკიცების შესახებ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N134;
5. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ მისიის, ხედვის და ღირებულებების, ასევე, სტრატეგული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N130;
6. სამუშაო ჯგუფის სხდომის 1 ოქტომბრის ოქმი N1, სამუშაო ჯგუფის სხდომის 4 ოქტომბრის ოქმი N2 და ოქმი N3.
7. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N167);
8. შესაბამისობის გეგმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე;

.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალცალკე.

## პროგრამის სახე

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა**

## კურიკულუმის დასახელება

1. **„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“**
2. **სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“**

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

## 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:

- **ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე** და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და იმ განყოფილებებში სადაც სასკოლო მზაობის ჯგუფებია, **სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ - აქტივობათა კრებული.** ააიპ. საჩხერის გაერთიანებული საბავშო ბაღის განყოფილებისათვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ ბრძანება (N168, 02.12.2024)

ააიპ. საჩხერის გაერთიანებული საბავშო ბაღის განყოფილებისათვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ ბრძანების (N168, 02.12.2024) თანახმად გაერთიანებაში შემავალი განყოფილებებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი შედეგების მისაღწევად და ბავშვთა ჰოლისტურად განვითარების მიზნით, შერჩეულია შემდეგი კურიკულუმები: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და იმ განყოფილებებში სადაც სასკოლო მზაობის ჯგუფებია, სასკოლო მზაობის პროგრამა - აქტივობათა კრებული. დაწესებულებამ წარმოადგინა ააიპ. საჩხერის გაერთიანებული საბავშო ბაღის განყოფილებებისათვის ბრძანება N149; 23.10.2024 „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ:

1. დაწესებულება სრულყოფს დოკუმენტს ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი" - სადაც დამატებით გაიწერება პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც თანხვედრაში მოვა შრომის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებთან;
2. განისაზღვრება საკონსულტაციო საბჭოს შექმნის და საქმიანობის წესი, რომელიც დამატებით გაიწერება ,,ოჯახთან, თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმში" და მათ არსებობას ასახავს დაწესებულების სტრუქტურა- ორგანოგრამაზე;
3. დაწესებულება შეიმუშავებს სამუშაოს აღწერილობებს და დადგენილი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს, კომპეტენციებს;

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტებით: 1 **,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი"** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ); 2. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" **შინაგანაწესი** (ბრძანება N 169 09 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ) ერთობლივად

არეგულირებენ დასაქმებულ პირთან შრომითი ურთიერთობას. შრომითი ურთიერთობა ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით, რომელიც შეესაბამება ,,საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრულ, შრომითი ხელშეკრულების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. იქვე გაწერილია, რომ აღმზრდელთან/აღმზრდელ-პედაგოგთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ასევე მოიცავს ანაზღაურებადი არასაკონტაქტო საათების შესახებ ჩანაწერს და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს, მაგრამ თავად აღმზრდელებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ აქვთ გაწერილი ეს რეგულაცია შესაბამისი პუნქტით, რაც ძირითადად განპირობებულია საშტატო განრიგით აღმზრდელთა არასაკმარისი რაოდენობით (აღმზრდელთა და ბავშვთა თანაფარდობის დაუცველობა).

გარდა ამისა, დოკუმენტი არ არეგულირებს ხელშეკრულებით გასათვალისწინებელ სავალდებულო პირობას - ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების და ანაზღაურების წესს;

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,** სადაც გაწერილი აქვს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს აღმზრდელებისათვის ხელშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრის და ამ პერიოდებში შესასრულებელი სამუშაოს გაწერას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ჯეროვანი შესრულება აღმზრდელებისათვის ხელშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრის და ამ პერიოდებში შესასრულებელი სამუშაოს გაწერით.
**გარდა ამისა** დაწესებულებამ ხელშეკრულებაში აუცილებელ ველად გაწეროს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ანაზღაურების/კომპენსაციის წესი.
რჩევა
......................................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს თვითშეფასების დანართად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ჯეროვან შესრულებას აღმზრდელებისათვის ხელშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრის და ამ პერიოდებში შესასრულებელი სამუშაოს გაწერის ნაწილში.

**გარდა ამისა,** მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის სრულად დასაკმაყოფილებლად ხელშეკრულებაში აუცილებელ ველად გაიწერება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ანაზღაურების/კომპენსაციის წესი. აღნიშნული გეგმა  უზრუნველყოფს  დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები: 1 **,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ.  ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ); 2. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“  **შინაგანაწესი** (ბრძანება N 169 09 დეკემბერი 2024 წ.  ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ) ერთობლივად არეგულირებენ პერსონალის მოზიდვის/შერჩევის/დანიშვნის პროცედურების ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას, რაც დეტალურადაა გაწერილი დოკუმენტის მე-3 თავში- ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი, რომელიც ფარავს შემდეგ საკითხებს:  ღია და დახურული კონკურსის ჩატარების წესი, კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა, კონკურსის ეტაპები, საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის საქმიანობა და ა.შ., რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურების ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას. დაწესებულების შინაგანაწესშიც არის გაწერილი თანამშრომლის მიღების რეგულაციები, მაგრამ  ამ ორ მარეგულირებელ დოკუმენტებში არის საკითხების დუბლირება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ **,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში“** სრულად გაწეროს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უწყვეტი ციკლით ოთხივე მიმართულების პროცესებით.  (დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოთა მართვა და

ორგანიზაციიდან გასვლა), ხოლო **შრომის შინაგანაწესში** გაწეროს დაწესებულებაში დასაქმებულთა მიერ შრომითი ურთიერთობების განხორციელების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ შრომის პირობებსა და წესებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **„პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ. „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ) **მუხლი 17. ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია** გაწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები: ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სამსახურში აყვანისთანავე; ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სამსახურში აყვანისთანავე; გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა უშუალოდ პასუხისმგებელი პირის მიერ პირველივე შესაძლებლობის გაჩენის შემთხვევაში; დ) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა უშუალოდ დაწესებულების განყოფილების ადმინისტრაციის მიერ; ე) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სამსახურში აყვანისთანავე; 3. დაწესებულება აწარმოებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასა და მტკიცებულებებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას გააზრებული აქვს ორგანიზაციული კულტურის რაობა და მნიშვნელობა. ყველა ზემოთ წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია ორგანიზაციული კულტურის სხვადასხვა ელემენტები. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს ძირითად ღირებულებებს, თანამშრომელთა ჩართულობის, გაზიარების მექანიზმებს, რითაც დაწესებულება უზრუნველყოფს მიზნის და მისიის შესრულებას, ). საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივლისის N113 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჩხერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურეობრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ" დოკუმენტში, ასევე შრომის შინაგანაწესში გაწერილია საქმიანობის განხორციელების ინსტრუქცია, პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები აღსაზრდელთან, აღსაზრდელის ოჯახის წევრებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწერსებულების იმიჯს და რეპუტაციას, ურთიერთთანამშრომლობის და ჩამოყალიბებული ერთობის, გუნდური მუშაობის მნიშვნელობას აღიარებით. ყოველივე ეს დადასტურდა ვიზიტის პერიოდში და იგრძნობა ინტერვიუირების დროს მოპოვებულ ინფორმაციებშიც.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

## 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **„პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ. „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ) არეგულირებს პერსონალის კვაფიკაციის შენარჩუნების, განვითარებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მიმდინარეობას. დოკუმენტის თავი IY - შესრულებული სამუშაოს მართვა, **მუხლი 17. გაწერილია შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმები,** რომ დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასებისათვის განიხილავს სხვადასხვა ასპექტებს/მიმართულებებს და მათი შეფასების სხვადასხვა მექანიზმებს: ა) კითხვარი; ბ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; გ) გასაუბრება; შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება საჭიროებების მოკვლევა/დადგენა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **„პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ. „ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ) არეგულირებს პერსონალის კვაფიკაციის შენარჩუნების, განვითარებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მიმდინარეობას. დოკუმენტის თავი IY - შესრულებული სამუშაოს მართვა, **მუხლი 19. გაწერილია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება.** პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. 2. დაწესებულების პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები: ა) ტრენინგი; ბ) ქოუჩინგი; გ) მენტორინგი; დ) პროექტები; ე) დელეგირება; ვ) სამუშაოს გამრავალფეროვნება; ზ) თვითგანვითარება; თ) კონსტრუქციული უკუკავშირი; ი) სხვა. 3. დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში **„ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N148 ბრძანებით ერთ- ერთ სტრატეგიულ მიზანად გაწერილია** პერსონალის პროფესიული განვითარება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება და მისი შესაბამისი ამოცანა: თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვა, ხოლო 2026 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამოცანის შესაბამისი აქტივობები : ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად ქოუჩინგის განხორციელება, საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული საჭიროებების კვლევა, ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა და კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებაში პერსონალის გადამზადება.

აღნიშნული ინდიკატორი ამასთანავე ადასტურებს 1.2.1. მე-3 ინდიკატორის შესაბამისობას (სამოქმედო გეგმის გამომდინარეობას სტრატეგიული გეგმიდან)

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ) არეგულირებს პერსონალის კვაფიკაციის შენარჩუნების, განვითარებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მიმდინარეობას. დოკუმენტის თავი IY - შესრულებული სამუშაოს მართვა, **მუხლი 19. გაწერილია, რომ** პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება შემდეგში: წლის განმავლობაში გარკვეული წარმატებებისათვის, კალენდარული წლის ბოლოს, პერსონალიდან ერთ-ერთი სახელდება „წლის საუკეთესო სკოლამდელი განათლების დაწესებულების თანამშრომლად“ და გადაეცემა სპეციალური ფულადი ჯილდო დამფუძნებლისაგან. წახალისების აღნიშნული ფორმა ასევე გაწერილია დაწესებულების შრომის შინაგანაწესში - ,,მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ დაწესებულ ყოველწლიურ ჯილდოზე წარდგენა“

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **,,ა.(ა).ი.პ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის წესდება** (დამტკიცებული საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 ოქტომბრის N ბ.70 70232387 ბრძანებით).
2. **,,ა.(ა).ი.პ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.**
3. **,,ა.(ა).ი.პ** საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის **სოფელ ჭალის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**
4. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ სოფელ ჭალის განყოფილების სტრუქტურა - ორგანოგრამა**
5. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ საშტატო ნუსხა**.
6. **,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ);
7. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებისათვის პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებული საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 181 ბეძანებით);**
8. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ **შინაგანაწესი** (ბრძანება N 169 09 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ);
9. **საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივლისის N112 დადგენილებით** დამტკიცებულია ,,საჩხერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.
10. **საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივლისის N111 დადგენილებით** დამტკიცებულია ,,საჩხერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები“.
11. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N148 ბრძანება;**
12. შესაბამისობის გეგმა თვითშეფასების დანართად
13. შესაბამისობის გეგმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შესაბამება ☐ | მეტწილად შესაბამება ☒ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას იდენტიფიცირებული და, შესაბამისად, აღწერილი აქვს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესი, რომელიც დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად. ესენია: მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი - **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებისათვის პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებული საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 181 ბრძანებით);**

დოკუმენტში აღწერილია თითოეული პროცესის კონკრეტული ნაბიჯები, ეტაპები, ქმედებები თანმიმდევრულად დასაწყისიდან ბოლომდე. ყველა პროცესი აღწერილია დეტალურად და მკაცრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან, თითოეულისათვის განსაზღვრულია მიზნობრივი აუდიტორია, მფლობელი/პასუხისმგებელი პირი და მარეგულირებელი დოკუმენტი/წესი.

მმართველობით პროცესად განსაზღვრული აქვს

- ✓ სტრატეგიული დაგეგმვა
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფა;

ძირითად პროცესად განსაზღვრული აქვს:

- ✓ კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება (მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფას);

- ✓ ბავშვების რაოდენობის მართვა;(რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა)
- ✓ სსსმ ბავშვების მომსახურება;
- ✓ ოჯახთან და თემთან ურთიერთობა;

დამხმარე პროცესებად განსაზღვრული აქვთ:

- ✓ ადამიანური რესურსების  მართვა;
- ✓ მატერიალური რესურსების მართვა;
- ✓ საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა;
- ✓ პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრხოების დაცვა;
- ✓ ფინანსური რესურსების მართვა;
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა;
- ✓ ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესების მართვა;
- ✓ სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკამაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესი უნდა იმართებოდეს ხარისხის ციკლის შესაბამისად ,,დემინგის" სქემა - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება - თითოეული ციკლის მიმდინარეობა თანმიმდევრულად, ერთმანეთის მიყოლებით, ნაბიჯ-ნაბიჯ უწყვეტად ერთ მთლიან ჯაჭვად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებისათვის პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებული საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 181 ბრძანებით) მუხლი 5 - ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი,** აღწერილია თითოეული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც გულისხმობს: თითოეული პროცესი დაჯგუფებული აქვს სამი სახის (დაბალი, საშუალო და მაღალი) რისკ-ფაქტორთა ჯგუფის მიხედვით, რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება ხდება ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რომლის განუყოფელ ნაწილად მიჩნეული აქვს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა/უკუკავშირი, რის შემდეგაც ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის გეგმას, პერიოდულად ახდენს გეგმის და რეკომენდაციების შესრულების/განხორციელების მონიტორინგს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკამაყოფილებულია**

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ბავშვისა და დაწესებულების სამართლებრივი კავშირის განსაზღვრისათვის და ამ ურთიერთობის რეგულირებისათვის შემუშავებული აქვს დოკუმენტი **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი",** რომელიც დაფუძნებულია ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობაზე და დამტკიცებულია საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის N 179 ბრძანებით. დოკუმენტით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები:

- ✓ ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის განხორციელების ფორმა

- ✓ ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები
- ✓ ბავშვის ჩარიცხვის ეტაპები და განხორციელების წესი
- ✓ რეგისტრაცია, აქტივაცია და ხელშეკრულების გაფორმება
- ✓ წარსადგები დოკუმენტების ნუსხა
- ✓ ბავშვის გადაყვანა
- ✓ ბავშვის ამორიცხვა
- ✓ ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვების ჩარიცხვის წესი (,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფით)
- ✓ სარეზერვო სიების წარმოება
- ✓ პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკამაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორორის შესაბამისობის დასადასტურებლად შეიძლება განხილულ იქნას სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტები -

1. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი” (** საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის N 179 ბრძანება) მუხლი 5 პუნქტი 5 - სადაც გაწერილია

მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი, ხოლო მუხლი 10 -ით გაწერილია ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობა ბავშვის პირადი დოკუმენტაციის სისტემატიზაციის თაობაზე. ბავშვის პირადი საქმეები დაცულია გაერთიანებაში, ხოლო ასლები გადაეცემა პროგრამის განმხორციელებელ დაწესებულებას/განყოფილებას, რომელიც წარმოდგენილ იქნა განყოფილებაში/დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტის დროს გამგის მიერ.

2. **,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ) მუხლი 21 -ით გაწერილია პერსონალის პირადი საქმეების წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა განახლების ვადების დაცვით. პერსონალის პირადი საქმეები წარმოდგენილ იქნა განყოფილებაში/დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტის დროს გამგის მიერ.
3. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებისათვის პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესში“** (დამტკიცებული საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 181 ბრძანებით) დამხმარე პროცესების ჩამონათვალში შედის საქმისწარმოების/დოკუმენტთბრუნვის პროცესი, რომელიც მოიცავს ა) პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას და ბ) ბავშვების პირადი საქმეების წარმოებას.

ვინაიდან დაწესებულებას შესამუშვებელი აქვს სამუშაოს აღწერილობები და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, საქმისწარმოების აღწერა და დოკუმენტთბრუნვის წესი თავის თავში ასევე უნდა მოიცავდეს პირადი საქმეების წარმოების წესს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკამაყოფილებულია**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებისათვის პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესში“** (დამტკიცებული საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 181 ბრძანებით);
2. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი”** ( საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის N 179 ბრძანება;
3. **,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“** (ბრძანება N 168 06 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ)
4. **ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეები**
5. **ვიზიტის დროს წარმოდგენილი ბავშვების პირადი საქმეები**

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნულ კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შესაბამება ☒ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შესაბამება ☐ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☒ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორის შესაბამისობა მოიცავს სამ ძირითად მოთხოვნას. **პირველი,** ესაა დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. ამ მიზნით დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რაც დაწესებულებას წარმოდგენილი არ აქვს.

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების ტერიტორიაზე არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა, რასაც დაწესებულება უზრუნველყოფს ამ კომპეტენციით განსაზღვრული ექთნის მეშვეობით. ექთნის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. დაწესებულებას შენობაში გამოყოფილი აქვს იზოლირებული ოთახი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის, რომელიც მოწყობილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მომსახურებისათვის საჭირო აღჭურვილობით.

ინდიკატორის მოთხოვნის **მეორე** ნაწილი გულისხმობს საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას. დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმა, საგანგებო სიტუაციებში რეაგირების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნის **მესამე** ნაწილი გულისხმობს დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი მოთხოვნების დაცვას. შესაბამისად დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და გაწერილი ჰქონდეს მექანიზმები რეაგირების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ **შრომის შინაგანაწესში** (ბრძანება N 169 09 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ) დეტალურად აქვს გაწერილი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვისათვის პრევენციული წესები.

დაწესებულებას **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში** გაწერილი აქვს მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობის აღმოფხვრა 2027 წლის 20 მარტამდე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვანი შესრულება;
**გარდა ამისა** - უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რაც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: პირველადი დახმარების საშუალებები, მასალები, მათი ვარგისიანობის ვადის კონტროლი, სამედიცინო შემთხვევების და მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების ხარჯვის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების წესი;

**ასევე,** დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმა - საგანგებო სიტუაციებში რეაგირების მექანიზმები, რაც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს : საგანგებო სიტუაციების იდენტიფიცირება, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, მათი ქცევის/მოქმედების წესები და პროცედურები, სიმულაციური წვრთნების დაგეგმვა და ა.შ. შესათანხმებლად წარუდგინოს უფლებამოსილ ორგანოს და შეთანხმებული ვარიანტი დაამტკიცოს ბრძანებით;

**ასევე,** დაწესებულებამ მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე გაწეროს მექანიზმები რეაგირების (ქცევის/მოქმედების წესები და პროცედურტები) თაობაზე.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს ერთი მარეგულირებელი დოკუმენტი ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების თაობაზე, სადაც ცალ-ცალკე თავებად გაწერილი იქნება იდენტიფიცირებული საგანგებო სიტუაციები და მათი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები. ეს მექანიზმები შეიძლება ერთ მთლიან დოკუმენტად ინტეგრირდეს ,,საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმაში”.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ:

1. **დაწესებულება** უზრუნველყოფს თვითშეფასების დანართად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ჯეროვან შესრულებას;

**2. დაწესებულება** შეიმუშავებს და დაამტკიცებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, სადაც გაწერს შემდეგ საკითხებს: პირველადი დახმარების საშუალებების, მასალების, მათი ვარგისიანობის ვადის კონტროლის მექანიზმებს, სამედიცინო შემთხვევების და მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების ხარჯვის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების წესს;
3. **დაწესებულება** შეიმუშავებს საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმას - საგანგებო სიტუაციებში რეაგირების მექანიზმებს, სადაც გაწერს შემდეგ საკითხებს: საგანგებო სიტუაციების იდენტიფიცირება, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, მათი ქცევის/მოქმედების წესები და პროცედურები, სიმულაციური წვრთნების დაგეგმვა და ა.შ. შესათანხმებლად წარუდგენს უფლებამოსილ ორგანოს და შეთანხმებულ ვარიანტს დაამტკიცებს ბრძანებით;

**4. დაწესებულება** მოიპოვებს დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე გაწერს მექანიზმებს რეაგირების (ქცევის/მოქმედების წესები და პროცედურტები) თაობაზე.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 2025 წლის 16 აგვისტოს N 90 ბრძანება და დაწესებულებაში არსებული მცენარეების შესახებ ინფორმაციული დოკუმენტაცია. მაგრამ ის არ არის სრულყოფილი და სისტემატიზებული. რამეთუ, ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას, რომ შენობაში და ეზოში/გარე სივრცეში არსებული მცენარეები/მწვანე საფარი აღრიცხული უნდა იყოს შესაბამის ინვენტარიზაციის დოკუმენტში. ინფორმაციაში, ასევე უნდა მოიაზრებოდეს მცენარის უსაფრთხოება პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობასთან მიმართებით. ამასთანავე, დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს საფრთხის შემცველი მცენარეების დაფიქსირების შემთხვევაში, მათი გაუვნებლობის ზომები და მათზე რეაგირების მექანიზმები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების/მწვანე საფარის აღრიცხვის/ინვენტარიზაციის წესი. მცენარეების შესახებ ინფორმაციაში უნდა მოიაზრებოდეს მცენარის უსაფრთხოება პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობასთან მიმართებით. ამასთანავე, დაწესებულებამ გაწეროს საფრთხის შემცველი მცენარეების დაფიქსირების შემთხვევაში, მათი გაუვნებლობის ზომები და მათზე რეაგირების წესი და მექანიზმები.

რჩევა

სასურველია მცენარეების/მწვანე საფარის აღრიცხვის/ინვენტარიზაციის წესი ინტეგრირდეს მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საერთო წესში. ხოლო საფრთხის შემცველი მცენარეების დაფიქსირების შემთხვევაში, მათი გაუვნებლობის ზომები და მათზე რეაგირების წესი და მექანიზმები ინტეგრირდეს ბავშვის ფიზიკურ-ემოციური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმთან ერთად საგანგებო სიტუაციებში რეაგირების საერთო მექანიზმებში ცალკე თავად/ქვეთავად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ:

დაწესებულება შეიმუშავებს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების/მწვანე საფარის აღრიცხვის/ინვენტარიზაციის წესს, სადაც მცენარეების შესახებ ინფორმაციაში მოაზრებული იქნება მცენარის უსაფრთხოება პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობასთან მიმართებით. იმავე

წესში დაწესებულება გაწერს საფრთხის შემცველი მცენარეების დაფიქსირების შემთხვევაში, მათი გაუვნებლობის ზომებს და მათზე რეაგირების წესს და მექანიზმებს.
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია;**

### 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს **„ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი"** ( საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის N 179 ბრძანება). **დოკუმენტის** მუხლი 5 პუნქტი 5 - სადაც გაწერილია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი, მათ შორის (პუნქტი კ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის), შემუშავებული აქვს ნებართვის ფორმაც, რომლებიც შევსებული დევს ბავშვების პირად საქმეში.

მაგრამ, კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას ბავშვების გაყვანა დაწესებულების ტერიტორიიდან უნდა მოხდეს უსაფრთხოების სრული დაცვით. შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის წესები/პროცედურა. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული რეგულაცია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის უსაფრთხოების წესები/პროცედურა.
რჩევა
სასურველია კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის უსაფრთხოების წესები/პროცედურა ინტეგრირდეს ბავშვის ფიზიკურ-ემოციური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმთან ერთად საგანგებო სიტუაციებში რეაგირების საერთო მექანიზმებში ცალკე თავად/ქვეთავად.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ:

დაწესებულება შეიმუშავებს კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის უსაფრთხოების წესებს/პროცედურებს.
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია;**

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას, რომ საგანმანათლებლო პროცესი წარიმართოს ამ პროცესში მონაწილე პირების ფსიქიკურ-ემოციური უსაფრთხოების დაცვით, რაც გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ბავშვები თავს იგრძნობენ კომფორტულად - არ იღელვებენ, არ იდარდებენ, არ დაიძაბებიან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის პროგნოზირებადი დღის განრიგის არსებობა - დღის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობების თანმიმდევრობისადმი მზაობის გაცნობიერება. ეს ყოველივე ამცირებს ბავშვის პრობლემურ ქცევას და სძენს თავდაჯერებულობას, ხოლო თავად საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს და ორგანიზებულს ხდის.

მოცებული ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობის დასადასტურებლად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს **დოკუმენტი - ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“** (ბრძანება N 178 18 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ), სადაც გაწერილია ინდიკატორის მოთხოვნები, მით უფრო, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმი ,,თამაში” ზუსტად განსაზღვრავს ბავშვებისათვის პროგნოზირებადი გარემოს და ინფორმაციული პროცესების მომლოდინე დღის წესრიგის შექმნის სავალდებულოობას. ადგილზე ვიზიტის დროს ჯგუფის ოთახების ვიზუალური დათვალიერებით გარემო იყო პროგნოზირებადი, მიმანიშნებელი, დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების წინასწარ გაცნობის შესაძლებლობით, საგანმანათლებლო პროცესების მარტივად აღქმადობა დადასტურდა დასურათებული და განმარტებული დღის განრიგით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას უზრუნველყოს არაძალადობრივი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს ადგილს, სადაც ბავშვს პატივს სცემენ, როგორც ინდივიდს, მიუხედავად ასაკისა, სადაც ის პრიორიტეტულად ზრუნვის ობიექტია. მომსახურების გაწევის დროს გათვალისწინებულია მისი ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვა.

შესაბამისად დაწესებულებას უწევს დაადასტუროს, რომ მისი პერსონალი ფლობს და იყენებს არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, იცნობს კანონმდებლობას და რეგულაციებს ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში. აღნიშნული ვალდებულება შესაძლოა შესრულდეს ტრენინგების, კურსების, საჯარო, სამუშაო შეხვედრების და დისკუსიების ორგანიზებით, ლიტერატურის და სხვა რესურსების მობილიზებით.

ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ საჩხერის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს 2018 წლის 25 ივლისის N113 დადგენილება** ,,საჩხერის მუნიციპალიტეტში ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების“ დამტკიცების შესახებ;
- ✓ ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ **შინაგანაწესი** (ბრძანება N 169 09 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ) ;
- ✓ **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი” (** საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის N 179 ბრძანება).

წარმოდგენილი დოკუმენტებით გაწერილია, რომ დაწესებულების ყველა თანამშრომელს აქვს თავისი როლი და კომპეტენცია არაძალადობრივი გარემოს შექმნასა და ბავშვთა უფლებების დაცვაში;

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას დაიცვას ბავშვები ემოციური, ფსიქიკური თუ ფიზიკური ძალადობისაგან, გამოავლინოს და აღკვეთოს ძალადობის ყველა ფორმა, განსაზღვროს დაწესებულების როლი ძალადობის გამოვლენის შემხვევაში და მოახდინოს სწორი, კანონმდებლობის შესაბამისი რეაგირება.

ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობის დასადასტურებლად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი - **,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისათვის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება N 171 11 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის“** დამტკიცების შესახებ). მარეგულირებელი დოკუმენტი შემუშავებულია ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის N437 დადგენილების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დაწესებულების მუშაობის წესს და ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის ეტაპებს და პროცედურებს. გაწერილი აქვს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენის, ბავშვის მდგომარეობის

შეფასების, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირების, ძალადობის შემთხვევებზე ზედამხედველობის მექანიზმები. რეგულაციით დამტკიცებული აქვს რეფერირების ფორმები დანართების სახით.

ამ ინდიკატორის მოთხოვნების შემდეგი მიმართულება, რომ გამოყოფილი იყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ბავშვთა ძალლადობისაგან დაცვაზე (რეფერირებაზე) პასუხისმგებელი პირი, დარეგულირებულია დაწესებულების მიერ. გაწერილია ფუნქციები, ქმედების ეტაპები, პროცედურები. დასადასტურებლად წარმოდგენილია **გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 172 11 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის** დამტკიცების შესახებ. პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია განყოფილების გამგეები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას ხელი შეუწყოს ბავშვის და მათი ოჯახის წევრებს ახალ გარემოში, ახალ ურთიერთობებში უმტკივნეულოდ შესვლის პროცესს. ეს პროცესი იყოს რაც შეიძლება ადვილად, ნაკლებ სტრესულად გადასალახი. ცვლილებების ეს გარდამავალი პერიოდი, ანუ ტრანზიცია, მნიშვნელოვანი პროცესია სკოლამდელ განათლებაში და ის იწყება საბავშვო ბაღთან პირველი შეხებით - ეს არის ახალი სამყარო, ახალი ურთიერთობები, უცხო ადამიანები, უცხო გარემო უცხო წესებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შიში, შფოთვა. ინდიკატორის მოთხოვნაა, რომ ტრანზიცია დაწესებულების გარემოში ითვალისწინებდეს ყველა გარემოებას, თავისებურებების გათვალისწინებას, რათა ტრანზიცია იქცეს სწავლისა და განვითარების შესაძლებლობად და არა დამრთგუნველად და ხელის შემშლელ გარემოებად. ერთი გარემოდან მეორეში გადასვლა (გარე ტრანზიცია), ან თავად ერთი გარემოს ფარგლებში, ერთი სიტუაციიდან მეორეში გადანაცვლება (მცირე ტრანზიცია) უნდა მოხდეს წინასწარ გააზრებული და დამუშავებული მექანიზმებით და შესაბამისი ქმედებებით,

მით უმეტეს დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმი ,,თამაში" ზუსტად განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას გამოყენებულ შიდა ტრანზიციების მეთოდებს. ინდიკატორის შესაბამისობა დაწესებულებამ ვერ დაადასტურა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის მექანიზმები (როგორც შიდა, ისე გარე ტრანზიციები), ბავშვის ემოციური უსაფრთხოების დაცვის ნაწილში.
რჩევა
სასურველია ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის მექანიზმები (როგორც შიდა, ისე გარე ტრანზიციები), ბავშვის ემოციური უსაფრთხოების დაცვის ნაწილში, ინტეგრირდეს ბავშვის ფიზიკურ-ემოციური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმთან ერთად საგანგებო სიტუაციებში რეაგირების საერთო მექანიზმებში ცალკე თავად/ქვეთავად.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ:

დაწესებულება შეიმუშავებს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის მექანიზმებს (როგორც შიდა, ისე გარე ტრანზიციები), ბავშვის ემოციური უსაფრთხოების დაცვის ნაწილში.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია;**

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
სტატუსის მაძიებელი დაწესებულების საქმიანობაში თავს იყრის სხვადასხვა ტიპის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია (ბავშვის ფოტოები, ვიდეოები, ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ და სხვ), ასევე თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემები.
მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას **პირველი** - ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვაზე და **მეორე** - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე.
ინდიკატორის შესაბამისობის დადასტურება შესაძლებელია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტით:

- **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“;**
- ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ **შინაგანაწესი** (ბრძანება N 169 09 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ) - ორგანიზაციული კულტურის ნაწილი;
- **,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისათვის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება N 171 11 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის“** დამტკიცების შესახებ) მუხლი 6;
- საჩხერის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს 2018 წლის 25 ივლისის N113 დადგენილება** ,,საჩხერის მუნიციპალიტეტში ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების“ დამტკიცების შესახებ“ მუხლი 6;
- **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი” (** საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის N 179 ბრძანება). **დოკუმენტის** მუხლი 5 პუნქტი 5 - სადაც გაწერილია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი, მათ შორის (პუნქტი ი ) მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა წარმომადგენლის ბავშვისთვის გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე; შემუშავებულია ნებართვის ფორმაც, რომელიც შევსებული დევს ბავშვების პირად საქმეში. ხოლო **მუხლი 10 პასუხისმგებელი პირის მოვალეობაში გაწერილია ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................

რჩევა

......................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“;**
2. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ **შინაგანაწესი** (ბრძანება N 169 09 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ)
3. **,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“** (ბრძანება N 178 18 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ),
4. **,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისათვის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება N 171 11 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის“** დამტკიცების შესახებ) ;
5. **გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 172 11 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის** დამტკიცების შესახებ.
6. საჩხერის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს 2018 წლის 25 ივლისის N113 დადგენილება** ,,საჩხერის მუნიციპალიტეტში ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების“ დამტკიცების შესახებ;
7. **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის განყოფილებებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი” (** საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის N 179 ბრძანება).
8. შესაბამისობის გეგმა თვითშეფასების დანართად
9. შესაბამისობის გეგმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

## 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორის შესაბამისობა მოიცავს ორ ძირითად საკითხს. **პირველი** - დაწესებულებას მდგრადი განვითარებისათვის აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფინანსური რესურსის არსებობის დადასტურება და **მეორე** - არსებული ფინანსური რესურსით უნდა დასტურდებოდეს დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების უზრუნველყოფა, ანუ რამდენად რეალისტურია მათი განხორციელება. მოცემულ რეალობაში დაწესებულებას გააჩნია **2026-2031 წლამდე სტრატეგიული გეგმა,** სტრატეგიული გეგმის შესაბამისი **2026 წლის სამოქმედო გეგმა,** საგანმანათლებლო **პროგრამული ბიუჯეტის გეგმა 2026 წლის** და ასევე, დაწესებულების **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2026 წლის პერიოდზე,** ანუ 2026 წლისათვის რეალურად დაწესებულებას გააჩნია სამი სხვადასხვა სახის გეგმა და სამივე წარმოდგენილია დოკუმენტის სახით, ცხადია, სამივე გეგმას სჭირდება ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება.
ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი **,,საჩხერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" გადასაცემი თანხების დაყოფა ხარჯების კლასიფიკაციის, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის, ვალდებულებების კლებისა და თვეების მიხედვით".** დოკუმენტს ხელს აწერს საჩხერის მინიციპალიტეტის მერი და ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" დირექტორი. (ბრძანება მის დამტკიცებაზე გამოცემული არ არის), აღნიშნული დაფინანსება სრულად გადანაწილებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სკოლამდელი განათლების პროგრამის დაფინანსებაზე. დაწესებულებას საკუთარი შემოსავლები არ გააჩნია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2026 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს რესურსებით (ადამიანური, ფინანსური და მატერიალური) უზრუნველყოფის ველს, სადაც ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში მითითებულია მხოლოდ დაფინანსების წყარო (ადგილობრივი ბიუჯეტი) მაგრამ საჭირო ფინანსური რესურსი გათვლილი არ არის. ასევეა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც - წყაროდ მითითებულია გაერთიანების ბიუჯეტი, მაგრამ საჭირო ფინანსური რესურსი გათვლილი არ არის, მით უმეტეს გაერთიანებისათვის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნება მთლიანად გაწერილია პროგრამული ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯების დასაფარად.
არსებულ ვითარებაში არ არის შესაძლებელი დადგინდეს გეგმის რეალისტურობა, ანუ შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება დაწესებულებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურესით, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა წარმოდგენილი დოკუმენტით დამტკიცებული ასიგნებით სახელფასო ხარჯის (72 %) გარდა, მისიით დაკისრებული საქმიანობის განსახორციელებლად დაწესებულებას მთლიანი ასიგნების მხოლოდ 28 პროცენტი აქვს დარჩენილი, რითაც უნდა დაფინანსდეს, როგორც მიმდინარე პროცესები, ასევე სამოქმედო გეგმით გაწერილი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილი აქტივობები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის გაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის აქტივობები და მიმდინარე პროცესების - პროგრამული ბიუჯეტის ხარჯები მოიყვანოს თანხვედრაში ერთმანეთთან და თითოეული აქტივობისათვის გათვალოს

სავარაუდო ფინანსური რესურსი, რითაც დადასტურდება თითოეული აქტივობის უზრუნველყოფა ფინანსური რესურსით - როგორც არსებული ასიგნებით, ასევე სავარაუდო დამატებითი წყაროებით.

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება სამოქმედო გეგმის აქტივობებს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის აქტივობებს და მიმდინარე პროცესების - პროგრამული ბიუჯეტის ხარჯებს მოიყვანს თანხვედრაში ერთმანეთთან და თითოეული აქტივობისათვის გათვლის სავარაუდო ფინანსურს რესურსს, რითაც დაადასტურებს თითოეული აქტივობის უზრუნველყოფას ფინანსური რესურსით - როგორც არსებული ასიგნებით, ასევე სავარაუდო დამატებითი წყაროებით. აღნიშნული გეგმა  უზრუნველყოფს  დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან  პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია;**

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორის ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში რომ, ბიუჯეტი ხარჯვით ნაწილში ყოველწლიურად უნდა ითვალისწინებდეს განსაზღვრული რაოდენობის ფინანსურ რესურსს მის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის განხორციელების უზრუნველყოფისათვის, იგულისხმება, შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების შეძენა/განახლება ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით, გარემოს შესაბამისი მოწყობის უზრუნველყოფა, სათემო აქტივობების განხორციელება და სხვა.

ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია **,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი”** (,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის” დამტკიცებული  შესახებ ბრძანება N 178 2024 წლის 18 დეკემბერი). დოკუმენტის  მუხლი 5, მუხლი 6, მუხლი 7 გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა, რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება და გარემოს ფიზიკური მოწყობა. რესურსების შეძენა ხორციელდება დოკუმენტით განსაზღვრული სქემის მიხედვით.

იმისათვის რომ შეფასდეს, თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული ფინანსური რესურსი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, დაწესებულებას აქვს: ა),,2026 წლის სამოქმედო გეგმა“, სადაც გაწერილია შესაბამისი ღონისძიებები, ბ) მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც დაწესებულებას განსაზღვრული და დამტკიცებული აქვს კურიკულუმთან ერთად, რაც საჭირო საგანმანათლებლო რესურსების მობილიზების საფუძველია (2.2.2. პირველი ინდიკატორის მოთხოვნა) და გ) დაწესებულებას აქვს 2026 წლის ასიგნების ფარგლებში მუხლობრივად ჩაშლილი ბიუჯეტი.

შეძენა დადასტურებულია შესყიდვის და ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას, რომ მას ჰქონდეს შემუშავებული ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის საკუთარი სისტემა, რომელშიც გაწერილი იქნებოდა ბიუჯეტის დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და სხვა შინაარსობრივი მხარე, რადგან დაწესებულება არის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სკოლამდელი განათლების სფეროს რეგულირებისათვის დაფუძნებული საჯარო დაწესებულება (იხ. ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის წესდება) და მისი საქმიანობა რეგულირდება მუნიციპალიტეტში არსებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით და სრულად მათი რეგულაციების ფარგლებში განაგებს/მოიხმარს ფინანსურ სახსრებს, ხოლო მონიტორინგის განხორციელება საბიუჯეტო სახრების ხარჯვაზე უშუალოდ მერიის აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მეშვეობით ხდება, მით უფრო, რომ ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დაფინანსება“, მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო დაწესებულების დაფინანსების ფორმას, წესსა და პირობებს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, იმის გამო, რომ დაწესებულების საქმიანობა ხორციელდებოდეს ხარისხის ციკლის დაცვის უზრუნველყოფით, თავისთავად გულისხმობს ფინანსური რესურსების მართვის განხორციელებას დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპების დაცვით, რომელიც გაწერილი იქნება შესაბამისი მარეგულირებელი მექანიზმებით. მართვის სისტემაში უმნიშვნელოვანესია პროცესების მონიტორინგის მექანიზმების არსებობა და გეგმის შესრულების ანგარიში, რაც გაწერილია დაწესებულების წესდების მე-4 მუხლში. მართალია, დაწესებულება თავის საქმიანობას აღნიშნული  მოთხოვნების დაცვით ახორციელებს, რაც დადასტურდა კიდეც ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით და შესაბამისი ინტერვიუებით, მაგრამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობის დადასტურება არ მოხდა.

რაც შეეხება მიმდინარე შესყიდვებს, დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საერთო წესით და რეგულაციით,  ხოლო მატერიალური ფასეულობების/რესურსების ინვენტარიზაციას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საერთო წესის დაცვით ადგენს ცენტრის დირექტორის მიერ შექმნილი საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც ინვენტარიზაციის შედეგებს აფორმებს საინვენტაიზაციო აქტით

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფიებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის  (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ცვლილებების შეტანის და შესრულების ანგარიშის) სისტემა.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება  შეიმუშავებს ფინანსური რესურსების მართვის  (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ცვლილებების შეტანის და შესრულების ანგარიშის) სისტემას. აღნიშნული გეგმა  უზრუნველყოფს  დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან  პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია;**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დოკუმენტი - ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. (ბრძანება N 178 18 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ);
2. დოკუმენტი ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ გადასაცემი თანხების დაყოფა ხარჯების კლასიფიკაციის, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის, ვალდებულებების კლებისა და თვეების მიხედვით“.
3. დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“(ბრძანება N2 9 იანვარი 2026 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ ,,2026 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ);
4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
5. შესყიდვის და ინვენტარიზაციის მასალები
6. შესაბამისობის გეგმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| **დანართის N** | **2. სხვა დანართის დასახელება** |

| | |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

<u>თარიღი</u> 15/06/2026

<u>ხელმომწერი</u> <u>სახელი გვარი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი:

თავმჯდომარე

/ხარისხის ექსპერტი/ /ე. გაბრიაძე-კაკაბაძე/

ჯგუფის წევრი:

/კურიკულუმის ექსპერტი/ /მ. ნიკოლაძე/

ჯგუფის წევრი:

/კვების დარგში ექსპერტი/ /მ. გორგილაძე/

ჯგუფის წევრი:

/სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი/ /შ. მახარაძე/

დანართი №1

| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი;<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოფელ ჭალის განყოფილება; | ბრძანების N: MES 6 26 0000466908 22/04/2026 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალა, 1-ლი ქუჩა, N6<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 2026 წლის 04-05 მაისი |

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

| N | ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2.ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოფელ ჭალის განყოფილების შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა N003006226 30/04/2026 წ.(ს/კ 35.03.45.864), რომელიც გაცემულია სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.<br>3.დოკუმენტი ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი" (ბრძანება N 180 19 დეკემბერი 2024 წ. ,,ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებებში ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ);<br>4.შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა<br>5.ფოტომასალა 6.შესაბამისობის გეგმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე; |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | 1.დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დათარიღებული 24/11/2025 წ. საკადასტრო კოდით 35.03.45.864. მესაკუთრედ დაფიქსირებულია სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტი ID 239393811; წარმოდგენილი ამონაწერით დასტურდება რომ, ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებულ საბავშვო ბაღს 2021 წლის 20 დეკემბერს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით მუნიციპალიტეტიდან გადაეცა აღნიშნული საკადასტრო კოდით არსებული ქონება უზუფრუქტუარის არსებობის ვადით.<br>2.დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სქემა/შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;<br>3.დაწესებულებამ წარმოადგინა ა.(ა).ი.პ. საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოფელ ჭალის განყოფილების შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა N003006226 30/04/2026 წ.(ს/კ 35.03.45.864), რომელიც გაცემულია სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.<br>4.დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის:<br>1.დაწესებულებამ მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სქემა/შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;<br>2.დაწესებულებამ მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ<br>1. დაწესებულება მოიპოვებს შენობა-ნაგებობის სქემას/შენობა-ნაგებობის შიდა აზომვით ნახაზს 12 თვიან პერიოდში. 2.დაწესებულება მოიპოვებს დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 24 თვიან პერიოდში |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| 2 | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.2. | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება განთავსებულია ორსართულიან შენობაში<br>ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე<br>2-4 წლიანთა ჯგუფი პირველ სართულზე და 4-6 წლიანთა ჯგუფი მეორე სართულზე | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ ☐ | ☐ | ☐ ☐ | ☐ ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | | ☐ | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | 1.დაწესებულება გათვლილია 2 ჯგუფზე. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი - ,,თამაშის" მეთოდოლოგიიდან გამომდინარე ორივე ჯგუფი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით აქტივობებისათვის და საძინებლით. სკოლამდელი განათლების პირველი წლის ბავშვებისათვის საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახია (პირველ სართულზე). დაწესებულებაში მოწყობილია გასახდელი ზონა, რომელიც აღჭურვილია ინდივიდუალური კარადებით თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად. თითოეულ ჯგუფს აქვს სანიტარული კვანძი ბავშვებისათვის. დაწებულებას აქვს სანიტარული კვანძი პერსონალისათვის. დაწესებულებას აქვს ადმინისტრაციული სამყოფები, მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის. დაწესებულებას აქვს დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი. დაწესებულებას აქვს იზოლირებული ოთახი მოწყობილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მომსახურებისათვის. დაწესებულებას აქვს კვების ბლოკი. დაწესებულებას აქვს სამეურნეო ზონა (დგას კარადები სამეურნეო ინვენტარის და საშუალებების შესანახად, ჩაკეტვის შესაძლებლობით). შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, მაგრამ მას არ აქვს მოაჯირი. დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით (ბუნებრივი აირით). დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას. დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებაში უნდა მოეწყოს პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულებაში მოეწყობა პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში დაცულია მოთხოვნა არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე (არის თითო ჯგუფში 2 უნიტაზი) და ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე (არის თითი ჯგუფში 2 ხელსაბანი). დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით მოწყობილია ტუალეტის კაბინები. დაწესებულების შენობაში არ არის ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის. არ აქვს იზოლირებული სანიტარული კვანძი/კაბინა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირებისთვის. დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებაში უნდა მოეწყოს ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, ასევე ზრდასრულებისათვის. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სან.კვანძის/კაბინის მოწყობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, ასევე ზრდასრულთათვის.<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 24 თვიან პერიოდში |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ეზო. ეზოს მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (ეზოს ფართი 1174.00 კვ.მ. ). დაწესებულების ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის რკინის მყარ ჩარჩოში შეკრული ვერტიკალური დგარების კონსტრუქციის ღობით. ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. ეზოს ნაწილი შემოღობილია რკინის მყარ ჩარჩოში შეკრული ლითონის ბადით, ღობის გარკვეული ნაწილი არ არის სტანდარტის მოთხოვნის სიმაღლის, არის მხოლოდ ქვით ნაგები ღობის ფუძე, რომელზეც მოწყობილია ავტომანქანის საბურავები. ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ ეზო სრულად შემოფარგლოს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს ეზოს შემოღობვას სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 24 თვიან პერიოდში |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | დაწესებულების ეზოში მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელის გარდა არის ყველა აღნიშნული მოწყობილობები და სივრცეები აღჭურვილი. ეზოს მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე. ეზოში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი არ არის დაფარული რბილი საფარით ( ბალახის საფარით, რბილი ხელოვნური ზედაპირით). ეზოს თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (მიწა, ცემენტნარევი დაღერღილი ქვის ფილები, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. არ არის შემდეგი ტიპის ზედაპირი - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. ეზოს ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას. | ინდიკარორის სრულად დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ ეზოში უნდა მოაწყოს მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი. ასევე, ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი უნდა იყოს დაფარული რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 1. დაწესებულება ეზოში მოაწყობს მზისგან და წვიმისაგან დამცავ საშუალებას/საჩრდილობელს.<br>2.დაწესებულება უზრუნველყოფს ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირის დაფარვას რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 24 თვიან პერიოდში. |
| | სასრიალო | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში შესასვლელი ცენტრალური კარი შემინულია მთელ სიმაღლეზე, არ აქვს მარკირება. ასევე, შიდა სივრცეში ბავშვებისათვის მისაწვდომ სიმაღლეზე განლაგებულია შემინული ფანჯრები, პირველ სართულზე ჯგუფურ ორთახში (2-4 წლიანთა ჯგუფი) ფანჯრის რაფის სიმაღლე 90 ანტიმეტრზე დაბალია. ჯგუფურ ოთახში ფანჯრებზე არ არის მოწყობილი ნაქსოვი ბადის ბარიერები და მათი ჩაჭრის შესაძლებლობის მოწყობილობები. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ 1. შენობის შესასვლელი ცენტრალური კარები, რომელიც მთელ სიმაღლეზე შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. 2. კარებს გაუკეთდეს მარკირება ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად. (მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის). 3. 2-4 წლიანთა ჯგუფში ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოეწყოს დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას. 4. დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოეწყოს კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. იქვე უნდა მოეწყოს ბადის ჩაჭრისათვის საჭირო მოწყობილობა. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ:<br>1. დაწესებულება ინდიკატორის - ,,მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას" მოთხოვნებს მოიყვანს სტანდარტებთან შესაბამისობაში. 2. დაწესებულება ინდიკატორის - ,,მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის" მოთხოვნებს მოიყვანს სტანდარტებთან შესაბამისობაში. 3. 2-4 წლიანთა ჯგუფურ უჯრედში ფანჯარაზე მოეწყობა დამცავი ბარიერი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. 4. ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, უზრუნველყოფს კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერის და ბადის ჩაჭრისათვის საჭირო მოწყობილობის მოწყობას სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით.<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 24 თვიან პერიოდში. |
| | მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | | | | |
| | იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | შენობაში ეზოდან შესასვლელად არ არის კიბეები, მოწყობილია ორი დონის ფართო ფილაქანი. შენობის შიდა კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც. დაწესებულების შიდა კიბის დასაწყისში და დასასრულს საფეხურზე მთელ სიგანეზე გასდევს კონტრასტული ფერის თვითწებვადი ზოლი გარჩევადობისათვის. დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურები არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს - არ აქვს ბავშვებისათვის განკუთვნილი სახელური. შიდა კიბე მიუყვება კედელს, მეორე მხრიდან მიუყვება მოაჯირი და უწყვეტი სახელური. კიბის მოაჯირის კონსტრუქციას აქვს ვერტიკალური დგარები 10 სმ-მდე დაშორებით. არ აქვს წვეტიანი ელემენტები. | ინდიკატორის დაკმაყოფილრბისათვის დაწესებულებამ კიბის მოაჯირზე უნდა მოაწყოს სახელური ბავშვებისათვის სტანდარტის შესაბამისად. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება კიბის მოაჯირზე მოაწყობს სახელურს ბავშვებისათვის სტანდარტის შესაბამისად. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში |
| | თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კედლის კუთხეებს არ აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება, არც კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი. შენობაში არ არის კოლონები და მსგავსი ბარიერები. ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე ბასრი კიდეები, ძირითადად კედლის მახვილი კუთხეები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის, არ არის დაფარული მომრგვალებით. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს უნდა გაუკეთდეს 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი. ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე ბასრი კიდეები, ძირითადად კედლის მახვილი კუთხეები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის, უნდა დაიფაროს მომრგვალებით ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავით. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს გაუკეთებს 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალებას ან კონტრასტული ფერის შესაბამის დამცავს. ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე ბასრ კიდეები, ძირითადად კედლის მახვილი კუთხეები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის, დაიფარება მომრგვალებით ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავით. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 12 თვიან პერიოდში. |
| | კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, გამოყენებულია დამცავები. ნათურები დაფარულია დამცავი ფარით და ასევე გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა. შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული, მიმაგრებულია იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის. ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას. | | | |
| | ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| | 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ბავშვებისათვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ზომები ძირითადად შეესაბამება სტანდარტს - არსებული სკამები 25 - 30 სმ ზომებშია. მაგიდები - 45 -50 სმ ზომებში. 5-6 წლის ასაკის ბავშვების ზომის მაგიდა და სკამი დაწესებულებას არ აქვს | ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უნდა შეიძინოს 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის შესამაბისი მაგიდა და სკამი. | | დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება შეიძენს 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის შესაბამისი ზომის მაგიდებს და სკამებს. |
| | 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| | 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ბავშვებისათვის განკუთვნილი საწოლების ზომები ძირითადად შეესაბამება სტანდარტს - არსებული საწოლები 140*65 სმ ზომებშია. საწოლები არის ერთიარუსიანი, მაგარძირიანი, სტაციონალური, რბილი ლეიბით. ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე. დაწესებულება აღჭურვილია ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით); სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფის ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე არ არის გათვალისწინებული საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფის ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე უნდა მოაწყოს საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფის ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე მოაწყობს საფენების გამოსაცვლელ მაგიდას, სათავსს საფენებისათვის და სათლს ავტომატური სატერფულით. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 24 თვიან პერიოდში. |
| | 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| 3 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. წარმოდგენილია დოკუმენტი: ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“ (ბრძანება N 180 19 დეკემბერი 2024 წ.); წარმოდგენილი მათოდოლოგიით ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს დანართი N1-ში. რომელიც არაა წარმოდგენილი. მეთოდოლოგიით არჩეულია ჯგუფური მოწყობის მოდელი, რომელსაც ორი ძირითადი მოთხოვნა აქვს :1. ინფრასტრუქტურა და ეზოს/გარე სივრცის მოწყობა 2. რესურსებით უზრუნველყოფა (ადამიანური და მატერიალურ ტექნიკური ბაზა, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა); მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მომიჯნავე ასაკის და მრავალასაკობრივი ჯგუფი არაუმეტეს 15 ბავშვის შემადგენლობით და აღმზრდელისა და ბავშვების თანაფარდობა - 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყოველ 13 ბავშვზე განსაზღვრულია 1 აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი ხოლო 3-დან 6 წლამდე | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ შეიმუშაოს ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ დანართი N1 და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მოახდინოს ამ დანართის საშუალებით. | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულება შეიმუშავებს ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ დანართს N1 და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას მოახდენს ამ დანართის საშუალებით. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას 24 თვიან პერიოდში. |
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი | | | | | | | | |
| | აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა | | | | | | | | |
| | გასახდელი სივრცე | | | | | | | | |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულება გათვლილია 2 შერეულ - მომიჯნავე ასაკით დაკომპლექტებულ ჯგუფზე. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი - ,,თამაშის“ მეთოდოლოგიიდან გამომდინარე ორივე ჯგუფი უზრუნველყოფილია | დაწესებულებას არსებული ვითარების - ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შერჩეული კურიკულუმის ,,თამაშის" | | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირად დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რაც იმაში გამოიხატება, |



ე.გაბრიაძე-კაკაბაძე 15.06.2026 წ.

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

**4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი** დანართი №2

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოფელ ჭალის განყოფილება | ბრძანების N: MES 6 26 0000466908 22/04/2026 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალა, 1-ლი ქუჩა, N6<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 05/05/2026 |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი |
|---|---|---|---|---|
| | ☑ | ☐ | ☐ | ☐ |
| საღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა |
| | | √ | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი |
| | √ | | | |

**დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები**

1.კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი (მატერიალური სახით), რომელიც დამტკიცებულია დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2024 წლის 17 დეკემბრის #174 ბრძანებით ;
2.საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესების სტანდარტული საოპერაციო პროცედურა - (მატერიალური სახით);
3.ალერგიით ან სხვა კვებითი აუტანლობისა და დიეტური საჭიროების მქონე ბავშვის კვების ორგანიზების სტანდარტული საოპერაციო პროცედურა (მატერიალური სახით);
4.საკვები პროდუქტებისა და კერძების ხარისხის კონტროლის სტანდარტული საოპერაციო პროცედურა (მატერიალური სახით);
5.ბრძანება №174 — „კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ
6.ზამთარი-გაზაფხულის სამაგალითო მენიუ — I და II კვირა
7.ზამთარი-გაზაფხულის მენიუს კარტოთეკა
8.ზამთარი-გაზაფხულის I და II კვირის მენიუ-ფაქტურა
9.დამტკიცებული პერსპექტიული მენიუ — ზამთარ-გაზაფხული (I და II კვირა)
10.ბრძანება №185 — ათდღიანი პერსპექტიული მენიუს დამტკიცების შესახებ
11.გაზაფხული-შემოდგომის მენიუ
12.[illegible]

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | ა(ა)იპ „საჩხერის გაერთიანებულ საბავშვო ბაღებში“ შემუშავებულია კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს მენიუს შემუშავებას, მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობას ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით. აღნიშნული დასტურდება დამტკიცებული 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუებითა და მენიუ-ფაქტურებით, სადაც განსაზღვრულია კვების რაციონის ენერგეტიკული ღირებულება, კვებითი განაწილება და პროდუქტების ჩანაცვლების შესაძლებლობა ნუტრიციული ღირებულების შენარჩუნებით.<br>მენიუს უზრუნველყოფის ფორმა ეფუძნება ადგილზე საკვების მომზადებას, კერძების კარტოთეკებს, მენიუ-ფაქტურებსა და შესაბამის ტექნოლოგიურ ბარათებს.<br>ასევე, შემუშავებულია ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვების ორგანიზების მექანიზმი, რომელიც მოიცავს:<br>კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის შესახებ ინფორმაციის შეგროვების წესს;<br>მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის პირობებსა და უსაფრთხოების მოთხოვნებს;<br>ანაფილაქსიის ან მძიმე ალერგიული | **რეკომენდაცია**<br>1.კვების, ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროდუქტების ჩანაცვლება პრაქტიკაში ხორციელდება ენერგეტიკული ღირებულებისა და ნუტრიციული ბალანსის შენარჩუნების გათვალისწინებით, თუმცა აღნიშნული პროცესის მექანიზმი დოკუმენტაციაში მკაფიოდ გაწერილი არ არის. შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროდუქტების ჩანაცვლების ფორმის შემუშავება და დამტკიცება. | 1.სასურველია დამატებით შეფასდეს კვებითი აუტანლობის მართვის პროცედურების შესრულების ფაქტობრივი პრაქტიკა და რეგულარული განახლება. | დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალისწინებლად წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები ( 2026 წლის 5 ივნისის N 62 წერილი და დანართები), შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს წერილში მოყვანილ არგუმენტებს და 1.3.ინდიკატორს თვლის სრულ შესაბამისად |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაგეგმილია იმგვარად, რომ თითოეული ჯგუფისთვის კვების მიწოდება ყოველდღიურად ხდება ერთსა და იმავე დროს, რაც უზრუნველყოფს ბავშვების ფიზიოლოგიური რეჟიმის დაცვას და ჯანმრთელი კვების ჩვევების ჩამოყალიბებას. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია დღის განრიგით და კვების ორგანიზების მარეგულირებელი წესით, რომელიც განსაზღვრავს კვების პერიოდულობას, დროის ინტერვალებსა და პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებებს.<br>სააღმზრდელო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, დაწესებულებაში ბავშვების კვება უზრუნველყოფილია ოთხჯერადად — ორი ძირითადი კვება და ორი წახემსება. აღნიშნული სქემა სრულად შეესაბამება მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტს, რომელიც განსაზღვრავს კვების ჯერადობას 9 საათამდე დასწრების ხანგრძლივობის პირობებში.<br>9:40–10:10 საუზმე, ჰიგიენა<br>11:40–12:00 წახემსება<br>13:00–13:30 სადილი<br>15:15–15:35 სამხარი<br>აღნიშნული დასტურდება მენიუ-ფაქტურებით, სადაც დეტალურადაა ასახული საუზმე, დილის წახემსება, სადილი და სამხარი.<br>მენიუ შედგენილია ისე, რომ დღის ენერგეტიკული ღირებულება ნაწილდება რეკომენდებული პროპორციებით — საუზმე შეადგენს დაახლოებით 20%-ს, წახემსება 10%-ს, სადილი 30%-ს, ხოლო სამხარი 15%-ს. ენერგეტიკული მაჩვენებლები გამოთვლილია ნუტრიენტული და ენერგეტიკული ღირებულებების ცხრილის საფუძველზე, | | | |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br><br>საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15%<br>ვახშამი ≈15%<br>საღამოს წახემსება ≈10% | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა შესაბამისია შემდეგ მოთხოვნებთან (მონაცემები გამოტანილია 9 საათიანი მომსახურების შემთხვევაში, უფრო მეტი/ნაკლები დროით ბავშვის დაწესებულებაში დაყოვნების შემთხვევაში, ექსპერტმა კვების ჯერადობისა და გადანაწილების მიხედვით უნდა გამოიანგარიშოს შესაბამისი პროპორციული მოთხოვნები, ასახოს კითხვარის მე-3 სექციაში და შესაბამისად შეაფასოს) | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზამთარი–გაზაფხულისა და შემოდგომა–ზაფხულის მენიუს ძირითადი საკვები პროდუქტების ჯგუფების ცხრილები, მენიუ-ფაქტურები და ენერგეტიკული ღირებულების გაანგარიშების ცხრილები შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გაანგარიშებების მიხედვით, მენიუს საშუალო ენერგეტიკული ღირებულება შეადგენს 1292.6 კილოკალორიას, რაც სრულად შეესაბამება კვებით ნორმებში განსაზღვრულ მითითებულ მაჩვენებელს – 1292 კილოკალორიას დღიურად. მნიშვნელოვანია, რომ დაშვებული ცვალებადობის ზღვარი ±10 კკალ-ის ფარგლებში სრულად დაცულია, რაც მიუთითებს მენიუს სტაბილურობას, შესაბამისობას და ბავშვის ასაკობრივი მოთხოვნების დაბალანსებულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მაკრონუტრიენტების განაწილების ანალიზმა აჩვენა შემდეგი შედეგები: ცილები – საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 50.37 გრამს, რაც სრულად შეესაბამება კვებითი რაციონის მოთხოვნებს; ცხიმები – საშუალო დღიური მაჩვენებელია 49.57 გრამი, რაც რჩება დაშვებული ±5 გრამის ცვალებადობის ფარგლებში და ადასტურებს კომპონენტის სტაბილურობას; ნახშირწყლები – საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 160.82 გრამს, რაც ასევე ემთხვევა მოთხოვნილ დიაპაზონს და უზრუნველყოფს ენერგიის წყაროს სწორი პროპორციით მიწოდებას. აღნიშნული ანალიზი ადასტურებს, რომ მენიუს სტრუქტურა ენერგეტიკული და კვებითი | | მიზანშეწონილია მენიუსა და საკვები პროდუქტების განაწილების ცხრილები პერიოდულად გადაიხედოს, რათა შენარჩუნდეს მათი შესაბამისობა რეგლამენტთან და ბავშვის ასაკობრივი კვების მოთხოვნებთან. | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | პური ≈1000გ<br>მარცვლეული და ბურღულეული ≈300გ<br>საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | ხილი ≈1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული ≈1800გ<br>კარტოფილი ≈1200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | რძე დასალევად ≈1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი ≈3370 მლ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობის დადგენის მიზნით გაანალიზდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზამთარი–გაზაფხულისა და შემოდგომა–ზაფხულის 10-დღიანი მენიუ-ფაქტურები. შეფასება ეფუძნება თითოეული დღის რაციონის შინაარსს, პროდუქტების ტიპებსა და გამოყენებული ინგრედიენტების შედგენილობას. „მიღებული მონაცემების მიხედვით, კვების რაციონი დაგეგმილია უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტების სრული დაცვით. მენიუში არ იკვეთება ისეთი პროდუქტები, რომელთა გამოყენება შეზღუდულია ან აკრძალულია ბავშვთა კვებაში. კერძოდ:<br>·არ ფიქსირდება კოფეინის შემცველი პროდუქტები, მათ შორის ყავა და შავი ჩაი;<br>·არ არის გამოყენებული ტკბილი, გაზიანი, აღდგენილი ან ენერგეტიკული სასმელები;<br>·არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური ან დიეტური პროდუქტები;<br>·არ იძენება გარეული ფრინველის ხორცი, იხვისა და ბატის კვერცხი;<br>·არ ფიქსირდება სოკო (კულტივირებული ან არაკულტივირებული);<br>·არ შეინიშნება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი.<br>ასევე აღსანიშნავია, რომ არ ჩანს კვების რაციონში აკრძალული საკვები დანამატები, მათ შორის: ნატრიუმის ბენზოატი (E211), ტარტრაზინი (E102), ქინოლინისებრი ყვითელი (E104), ყვითელი „მზის ჩასვლა“ (E110), | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით თავისუფალი შაქრის მოხმარების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 25 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველ პროდუქტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ყავა და შავი ჩაი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები (მათ შორის ხილის სასმელების, გაზიანი/უალკოჰოლო სასმელების, აღდგენილი სასმელების (გარდა რძისა), ენერგეტიკული სასმელების) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები (მაგ: ქოლესტეროლის დამწევი ან უჯრედისის მაღალი შემცველობის სურსათი და სხვ.) გარდა იმ შემთხვევისა თუ სპეციალურ საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის მიერ წარმოდგენილია სპეციალისტის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება გარეული ფრინველის ხორცი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება იხვისა და ბატის კვერცხი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კულტივირებული თუ არაკულტივირებული სოკო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუშიი არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი (გარდა იმ შემთხვევისა თუ კვებითი აუტანლობის მექანიზმში გაწერილია მსგავსი პროცედურა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება შემდეგი საკვებდანამატები:<br>ნატრიუმის ბენზოატი (E211)- კონსერვანტი<br>ტარტრაზინი(E102) - საღებავი<br>ქინოლინისებრი ყვითელი (E104) - საღებავი<br>ყვითელი "მზის ჩასვლა" (E110) - საღებავი<br>კარმუაზინი (E122) - საღებავი<br>პონსო ალისფერი 4R (E124) - საღებავი<br>წითელი ალურა AC (E129) - საღებავი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5 | **კვების მიწოდება და უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას, ბავშვთა მაქსიმალური ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი. | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი საგანმანათლებლო პერსონალის/ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

მ. გორგილაძე 15.06.2026 წ.

დანართი №3

## 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოფელ ჭალის განყოფილება. | ბრძანების N: MES 6 26 0000466908, 22.04.2026 წ |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალა, 1-ლი ქუჩა, N6<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 05.05.2026 წელი |

**კრიტერიუმი 4.5.1. დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები**

| | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | ■ | ■ | ■ | ■ | 1. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული ა.(ა)ი.პ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი"-ს დირექტორის 2024 წლის 18 დეკემბრის N 177 ბრძანებით;<br>2. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალის საბავშვო ბაღის მიერ შემუშავებული სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ-ები NN 2, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15, 16, 17 და 18), დამტკიცებული ა.(ა)ი.პ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი"-ს დირექტორის 2026 წლის 13 მარტის N 29 ბრძანებით;<br>3. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალის საბავშვო ბაღის სანიტარიულ-ჰიგიენური პროცედურების აღრიცხვა-დოკუმენტირებისთვის საჭირო ჟურნალები;<br>4. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალის საბავშვო ბაღის სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოცდის ოქმი: N 153, 24.10.2025 წ. 5. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე. |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (წესებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩათვლით) და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას (საჭიროების შემთხვევაში)** | | | | | ინდიკატორი 1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი - სოფ. ჭალის საბავშვო ბაღს შემუშავებული აქვს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია ა.(ა)ი.პ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი"-ს დირექტორის 2024 წლის 18 დეკემბრის N 177 ბრძანებით და არეგულირებს შემდეგ საკითხებს: ა) წყალმომარაგებისა და წყალარინების საკითხები; ბ) შენობის შიდა და გარე სათავსებში, ინვენტარისა და მატერიალური რესურსის დასუფთავების და ნარჩენების მართვის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხები; გ) დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის საკითხები; დ) საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვის საკითხი; დ) ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირების წესი და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის გზები; ე) ამ წესით განსაზღვრული საკითხებისთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურები (შემდგომ - სოპი).<br>1.1 წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა - განსაზღვრულია დაწესებულების წყალმომარაგების წყარო, რომელსაც წარმოადგენს ცენტრალური მუდმივი წყალმომარაგება - მომწოდებელი შპს „საჩხერის წყალკანალი", რომელიც დაწესებულებას აწვდის საჭირო რაოდენობის და დამაკმაყოფილებელი ხარისხის სასმელ წყალს. საბავშვო ბაღის წყალმომარაგება უწყვეტია. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გამოსაყენებელი სასმელი წყლის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების შეფასების მექანიზმი და კონტროლის საშუალებები (სასმელი წყლის ლაბორატორიული მიკრობიოლოგიური კვლევის ოქმები). დაწესებულება უზრუნველყოფილია ადგილობრივად მოწყობილი კანალიზაციის სისტემით - ნახმარ-ნარეცხი წყლები და საკანალიზაციო სითხეები ჩაედინება დაწესებულების კუთვნილ სეპტიკურ ავზში, რომელიც წარმოადგენს კაპიტალურად ჩამოსხმულ ბეტონის ავზს თუჯის თავსახურებით - მექანიზმი გაწერილია სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურაში (სოპ-ი N 5); 1.2 სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა - შემუშავებულია შენობის შიდა სათავსებისა და გარე სივრცის, ინვენტარისა და მატერიალური რესურსების დასუფთავების წესები, რაც დასტურდება შესაბამისი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით (სოპ-ები N 07, 08, 09, 10, 11, 12,13,15 და 17); 1.3 დასუფთავება და ნარჩენების მართვა - შემუშავებულია დაწესებულების შენობისა და ეზოს სივრცეების დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვებისა და გატანის წესები, რაც გაწერილია შესაბამის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებში (სოპ-ები N 16 და 18); 1.4 საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა - შემუშავებულია საჰაერო-სითბური რეჟიმის დაცვის მექანიზმი, რაც გაწერილია შესაბამის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურაში (სოპ-ი N 06); 1.5 ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა - სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელ წესის მუხლი N 13-ში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ეპიდემიურ სამსახურთან ურთიერთობის მექანიზმი, მითითებულია კონკრეტული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურული ერთეული, ვისთანაც შედგება საჭირო კომუნიკაცია (საჩხერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი), ასევე მითითებულია ეპიდემიოლოგიურ სამსახურთან დაკავშირებაზე პასუხისმგებელი პირი და საკომუნიკაციო არხები. 1.6 სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი - დაწესებულებას გააჩნია გაერთიანების მიერ დამტკიცებული შაბლონით შემუშავებული 14 სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ-ი), თუმცა სოპ-ები არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. სოპ-ები დამტკიცებულია და ხელმოწერილი გაერთიანების დირექტორის მიერ, მითითებულია კონკრეტული ქმედებებზე (პროცედურის ჩატარება, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ღონისძიება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაციის წარმოება/შენახვა, სოპ-ის გადახედვა) პასუხისმგებელი პირები (სახელითა და გვარით). ერთმანეთს არ ემთხვევა დაწესებულების მიერ ცენტრში ელექტრონულად გაგზავნილი სოპ-ებისა და საბავშვო ბაღში ადგილზე წარმოდგენილი სოპ-ების ნუმერაციები. ასევე არ ემთხვევა დაწესებულების სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში მითითებული სოპ-ების ნუმერაცია დაწესებულების მიერ ადგილზე წარმოდგენილი სოპ-ების ნუმერაციას. საბავშვო ბაღის პერსონალი იცნობს სოპ-ებში მითითებულ წესებს. | | რჩევის სახით მიზანშეწონილია სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ-ები) ხელმოწერილი იყოს შემმუშავებლების მიერ. სასურველია დაწესებულების მიერ ცენტრში ელექტრონულად გაგზავნილი სოპ-ების, ასევე დაწესებულების სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში მითითებული სოპ-ების ნუმერაცია ემთხვეოდეს დაწესებულების მიერ ადგილზე წარმოდგენილი სოპ-ების ნუმერაციას. | |
| | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დასუფთავება და ნარჩენების მართვა | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა | ■ | ■ ■ | ■ ■ | ■ ■ | | | | |
| | სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი | ■ | | | | | | | |
| 2 | **ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას | ■ | ■ | ■ | ■ | ინდიკატორი 2. ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი: 2.1. 4-5/5-6 წლის ასაკის აღსაზრდელების ჯგუფური და საძინებელი ოთახების იატაკი ლამინატით არის დაფარული, კარგ მდგომარეობაში, გლუვი, არ აღინიშნება ნაპრალები და ექვემდებარება სველი წესით დამუშავებას. ხოლო 2-3/3-4 წლის ასაკის აღსაზრდელების (ჯგუფი „ვარსკვლავები") ჯგუფური ოთახის იატაკის ლამინატი დაზიანებულია - აცრეცილია და აღინიშნება ამოტეხილობები და მცირე ნაპრალები, ასევე დაზიანებულია პლინტუსები, რომლებიც ალაგ-ალაგ გატეხილია და მომძვრალია. ამავე ჯგუფის საძინებელი ოთახის იატაკი კარგ მდგომარეობაშია - გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით დამუშავებას. 2.2 სანიტარიული კვანძების კედლები მოპირკეთებულია კაფელით, კარგ მდგომარეობაში, ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1,5 მ სიმაღლეზე, ასევე სამზარეულოს კედლები მოპირკეთებულია კაფელით სათანადო სიმაღლეზე და ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას; 2.3 სან-კვანძის იატაკის საფარი მოპირკეთებულია მეთლახით, კარგ მდგომარეობაში, ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც; 2.4 დაწესებულების შენობის სათავსებში მოწყობილია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები, მაგრამ ბადეები არ აქვს რიგ სათავსებს, კერძოდ, ჯგუფური ოთახების ფანჯრებს, 2-3/3-4 წლის ჯგუფის საძინებელ ოთახს. | 2.1. 2-3/3-4 წლის ასაკის აღსაზრდელების (ჯგუფი „ვარსკვლავები") ჯგუფური ოთახის იატაკის დაზიანებული ლამინატი უნდა შეიცვალოს - იატაკი უნდა იყოს გლუვი და ნაპრალების გარეშე. იატაკზე სრულად უნდა იქნას მოწყობილი პლინტუსი, დაზიანებული უნდა შეიცვალოს ახლით; 2.4. მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები მოწყობილი უნდა იქნას დაწესებულების შენობის ყველა სათავსის ფანჯრებზე. | | შეფასების ინდიკატორი: მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი - ჯგუფური ოთახის იატაკის მდგომარეობა - დაწესებულებამ არ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება არ იცვლება. შეფასების ინდიკატორი: მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი - - მწერების საწინააღმდეგო ბადეები - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | **ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით | ■ | ■ | ■ | ■ | ინდიკატორი 3. ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი: 3.1 დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. 3.2 დაწესებულების სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს ბავშვთა საგანმანათლებლო პროცესები და სენსო-მოტორული აქტივობები (ჯგუფური ოთახები), ასევე საძინებელ ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება ფანჯრების სახით; 3.3 ხელოვნური განათების წყაროა ცივი განათების ნათურების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შენობის ძირითადი სათავსების საკმარის და თანაბარ განათებას; 3.4 ჯგუფური, საძინებელი ოთახებისა და სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისაგან დამცავი საშუალებებით - ფარდებით; 3.5 ჯგუფური და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ არის განთავსებული ოთახის მცენარეები. | | | |
| | დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| 4 | **ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალარინებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყალი) | ■ | ■ | ■ | ■ | ინდიკატორი 4. ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალარინებისადმი - 4.1 დაწესებულება უზრუნველყოფილია მუდმივი წყალმომარაგებით, რომელსაც წარმოადგენს ცენტრალური წყალმომარაგება - მომწოდებელი შპს „საჩხერის წყალკანალი". სოფ. ჭალის საბავშვო ბაღი რეგისტრირებულია წყლის აბონენტად - მოწმობის ნომერი #13640. 4.2 წყალმომარაგება მუდმივია და დაწესებულება მარაგდება საჭირო რაოდენობის სასმელი წყლით, რომელიც ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისა და პერსონალისთვის. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფილია ცხელი წყალმომარაგებით - ცენტრალური საქვაბის მეშვეობით. ცხელი წყლით უზრუნველყოფილია კვების ბლოკი და სველი წერტილები; 4.3 ბავშვებისათვის სასმელი წყლის მიწოდება ხდება წყლის კონტეინერების მეშვეობით - შუშის დოქებით თავსახურებით, რომელიც არ არის განთავსებული იატაკზე და გათვალისწინებულია მათი რეცხვა ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-ი N 2). სასმელი წყლის კონტეინერის რეცხვის სოპ-ი (N 02) არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. პერსონალი იცნობს სოპ-ის წესებს. 4.4 სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის გამოყენებული სასმელი წყალი აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის" მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება დაწესებულებაში გამოყენებული სასმელი წყლის ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევით (მტკიცებულება - სოფ ჭალის საბავშვო ბაღის სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოცდის ოქმი: N 153, 24.10.2025 წ); 4.5 დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციის სისტემით - ნახმარ-ნარეცხი წყლები და საკანალიზაციო სითხეები ჩაედინება დაწესებულების კუთვნილ სეპტიკურ ავზში, რომელიც წარმოადგენს კაპიტალურად ჩამოსხმულ ბეტონის ავზს თუჯის თავსახურებით; 4.6 დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების სათანადო არინება - ნახმარი წყლები გამართული საკანალიზაციო სისტემით, ხოლო ატმოსფერული ნალექები - თუნუქის სახურავითა და სათანადოდ მოწყობილი ჟოლობების სისტემით; 4.7 სოფ. ჭალის საბავშვო ბაღის საკანალიზაციო სისტემა მიერთებულია სეპტიკურ ავზთან, რომელიც წარმოადგენს კაპიტალურად ჩამოსხმულ ბეტონის თავდახურულ ავზს წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და თუჯის ლუქებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს წინასწარ განსაზღვრული წესი სეპტიკური ავზის დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით სოპ-ი N 05 (დანართი N 5). აღნიშნული პროცესების განხორციელება უნდა მოხდეს ერთჯერადი მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ფორმდება შესაბამისი ტექნიკის მქონე ფიზიკურ პირთან ან ორგანიზაციასთან, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების - ვაკუუმური ავტოცისტერნის მეშვეობით. სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. სოპ-ის დანართში მოცემულია სეპტიკური ავზის დაცლისა და დამუშავების ჟურნალი შაბლონის სახით. | | რჩევის სახით მიზანშეწონილია სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ-ები N 02 და N 05) ხელმოწერილი იყოს შემმუშავებლების მიერ. | |
| | დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება ხდება: | | | | | | | | |
| | ა) წყლის კონტეინერის საშუალებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ბ) წყლის დისპანსერის საშუალებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | გ) წყლის შადრევნის საშუალებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | წყლის კონტეინერის საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1. წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას ირეცხება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით; 2) წყლის კონტეინერს აქვს თავსახური; 3) წყლის კონტეინერი არ დგას იატაკზე | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | წყლის დისპენსერების საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1) ხელმისაწვდომია ერთჯერადი გამოყენების ჭიქები; 2) წყლის დისპენსერის ავზი პერიოდულ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით; | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სასმელი წყლის წყაროდ არტეზიული ჭის არსებობის შემთხვევაში, ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) დაცულია გარედან რაიმე სახის დაბინძურებისაგან ბ) განთავსებულია არანაკლებს 30მ დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან გ) არ ხდება პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100მ რადიუსში დ) ჭა მოწმდება სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით ე) ჭას აქვს ღობე ცხოველებისგან დასაცავად ვ) ჭის გარშემო მოწყობილია სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ზ) წყლის ამოსაღები სათლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუფთად ინახება თ) ჭა ჩაკეტილი და თავდახურულია | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის დროს, ცხელი წყლით უზრუნველყოფილია კვების ბლოკი (სამზარეულო კერძების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონით), სანკვანძ(ებ)ი და სამრეცხაო (არსებობის შემთხვევაში) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის შემთხვევაში დაწესებულების კანალიზაციის სისტემა მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან/სეპტიკურ ავზთან შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) გარე სანიტარიულ კვანძს გააჩნია საასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით ბ) სან.კვანძის სავენტილაციო მილს აქვს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადე გ) სან.კვანძს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება დ) სან.კვანძს აქვს ფუნქციური ხელსაბანი ე) აქვს სან.კვნძთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი ვ) დაწესებულებას აქვს წინასწარგანსაზღვრული წესი მათი დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | გარე სანიტარიული კვანძი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ მდებარეობს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. სანიტარული კვანძის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან შეადგენდეს არანაკლებ 30 მ-ს. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივი წყლის მიწოდების არ არსებობის შემთხვევაში, დამონტაჟებულია სამარაგე ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით. სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი გამოიყენება მხოლოდ ტუალეტების ჩასარეცხად, ეზოს/გარე სივრცის დასუფთავებისა და მორწყვისთვის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემებში და სამშენებლო და სარემონტო სამუშაობის წარმოებისას. ტექნიკური წყალი არ გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, პირადი ჰიგიენისთვის, დასუფთავებისა და რეცხვისთვის. ტექნიკური წყალი ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელია, რაც ექვემდებარება კონტროლს დაწესებულების მხრიდან | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| 5 | **მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელის განიავება (ორპირი/ერთმხრივი/გვერდითი/გამჭოლი) უზრუნველყოფილია რეგულარულად, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წესის მიხედვით. დაწესებულების პერსონალი იცნობს და იცავს განიავების წესებს | ■ | ■ | ■ | ■ | ინდიკატორი 5. მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი. 5.1 დაწესებულებას შემუშავებული აქვს განიავების სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ-ი N 06, დანართი N 6), რომელსაც პერსონალი იცნობს, მაგრამ სოპ-ში სრულად არ არის ასახული "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები, კერძოდ, 1. განიავების სოპ-ში არ არის მითითებული წლის ცივ პერიოდში განიავების თავისებურებები და არ არის ასახული შესაბამისი მოქმედების მექანიზმი. 2. სოპ-ში მითითებული განიავების ვერიფიკაციის სისტემა (პუნქტი 3 - გენერალური დასუფთავების ჟურნალის შემოწმება 3 თვეში ერთხელ და პუნქტი 4 - დეზინფექციის ჟურნალის შემოწმება 6 თვეში ერთხელ) არარელევანტურია. 5.2 ჯგუფურ ოთახებში ტემპერატურის კონტროლისთვის კედლებზე დამონტაჟებულია თერმომეტრები იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე, მაგრამ თერმომეტრები არ არის დამონტაჟებული ბავშვთა საძინებელ ოთახებში. 5.3 დაწესებულებაში არსებული დღის განრიგით დასტურდება ბავშვების ჰაერზე ყოფნა/გასეირნება ყოველდღიურად, დღეში 2-ჯერ, დადგენილი ხანგრძლივობით (2 საათი). | თერმომეტრები დამონტაჟებული უნდა იქნას აგრეთვე ბავშვთა საძინებელ ოთახებში (სათანადო სიმაღლეზე - იატაკიდან 0,8-1,2 მ). | რჩევის სახით რეკომენდირებულია, რომ დაწესებულების განიავების სოპ-ში N 05 მითითებული იქნას წლის ცივ პერიოდში დაწესებულების სათავსების განიავების თავისებურებები, კანონმდებლობით გათვალისწინებული ტემპერატურის დასაშვები მაჩვენებლები წლის ცივ პერიოდში და ასახული იქნას შესაბამისი მოქმედების მექანიზმი სოპ-ში- საძინებელ ოთახებში წელიწადის ცივ დროს განიავების განხორციელების პროცედურა. ასევე, რეკომენდირებულია შემუშავებული იქნას განიავების ვერიფიკაციის რელევანტური სისტემა და დაკორექტირდეს განიავების სოპ-ი შესაბამისად. | შეფასების ინდიკატორი: მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი - თერმომეტრები ტემპერატურის კონტროლისთვის - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | ტემპერატურის კონტროლისთვის თერმომეტრები დამონტაჟებულია კედელზე იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვების ყოველდღიური ჰაერზე ყოფნა/გასეირნებას დადგენილი ხანგრძლივობით, რაც დასტურდება დღის განრიგით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | **მოთხოვნები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისადმი/პირობების დაცვისადმი** | | | | | | | | |
| | **შენობის შიდა სათავსებში:** | | | | | | | | |
| | მთელი შენობის გენერალური დასუფთავება ხდება ყოველთვიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | ინდიკატორი 6 - მოთხოვნები სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისადმი/პირობების დაცვისადმი: 6.1 გათვალისწინებულია დაწესებულების მთელი შენობის გენერალური დასუფთავება ყოველთვიურად, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული გენერალური დასუფთავების სტანდარტული ოპერაციული პროცედურით სოპ-ი N 07 (დანართი N 07), მაგრამ სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ; სოპ-ის დანართში მოცემულია გენერალური დასუფთავების ჟურნალი შაბლონის სახით და დაწესებულებას გააჩნია წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის ჟურნალი სოპ-ის მიხედვით. 6.2 გენერალური დასუფთავების სოპ-ის მიხედვით, დაწესებულების მიერ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება გათვალისწინებულია განსაზღვრული საჭიროებიდან და ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, გააჩნიათ წარმოებული სადეზინფექციო სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა - აღრიცხვის ჟურნალი სოპ-ის შესაბამისად. 6.3 დეზინფექციისათვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები/კომპოზიციები, კერძოდ, სადეზინფექციო საშუალებები „დეზოტეკი" და „Ymed Forte" აბები. ასევე დაწესებულების შენობის გენერალური დეზინფექციის განხორციელებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების მიხედვით ერთჯერადად დაქირავებული კომპანიის გამოყენება ამ სამუშაოების ჩატარებისათვის - შპს „სადეზინფექციო პროფილაქტიკური მომსახურეობა". აღნიშნული ორგანიზაცია ასევე განახორციელებს დაწესებულების სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფას. 6.4 გათვალისწინებულია დაწესებულების ყველა სათავსის მიმდინარე დასუფთავება სველი წესით, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, რაც დასტურდება მიმდინარე დასუფთავების სტანდარტული ოპერაციული პროცედურით სოპ-ი N 08 (დანართი N 8). სოპ-ის მიხედვით დასუფთავებას ექვემდებარება შენობის სათავსები, იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ზედაპირი და ავეჯის ქვეშ სივრცეები, გამათბობელი მოწყობილობები, განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირები (კარის, კარადის სახელურები და სხვა), ფანჯრის რაფები, ბავშვების ტანსაცმლის კარადები, გამწოვი ვენტილაციის ჟალუზები და ფანჯრის მინები. სათანადოდ შედგენილია დაწესებულების მიმდინარე დასუფთავების გეგმა. სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. სოპ-ის დანართში მოცემულია მიმდინარე დასუფთავების ჟურნალი შაბლონის სახით და დაწესებულებას გააჩნია წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის ჟურნალი სოპ-ის მიხედვით. პერსონალი იცნობს სოპ-ში მითითებულ წესებს. საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობისას სარემონტო სამუშაოების ჩატარება აკრძალულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის თავი IV, მუხლი 6, პუნქტი 8-ის მიხედვით. | | რჩევის სახით მიზანშეწონილია სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ-ები N 07 და N 08) ხელმოწერილი იყოს შემმუშავებლების მიერ. | |
| | სადეზინფექციო სამუშაოები ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული საჭიროებიდან და ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაბამისი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დეზინფექციისთვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები/კომპოზიციები | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ყველა სათავსი სუფთავდება სველი წესით, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში (სადაც ეს შესაძლებელია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სვრცეები სველი წესით სუფთავდება დღეში ორჯერ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ავეჯის ზედაპირიდან (არაუმეტეს 2 მეტრს სიმაღლეზე), გამათბობელი მოწყობილობიდან, განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარის სახელური, კარადის სახელურების და სხვ), ფანჯრის რაფებიდან მტვერი სველი წესით იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ბავშვების ტანსაცმლის კარადები ყოველდღიურად იწმინდება შესაბამისი ზედაპირების მოვლისათვის განკუთვნილი საშუალებით. კვირაში ერთხელ ირეცხება/მუშავდება სველი წესით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | გამწოვი ვეტნილაციის ჟალუზები ღიაა და სისტემატიურად იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, ხოლო დახურულია, მხოლოდ შენობის შიგნით და გარეთ ტემპერატურა მკვეთრი სხვაობის დროს, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ფანჯრის მინები შიგნიდან და გარედან იწმინდება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით და დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ,რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | აკრძალულია ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების წარმოება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას (კედლების, ჭერის, ფანჯრის ჩარჩოების შეთეთრება/შეღებვა და სხვ). | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | **ინვენტარი:** | | | | | | | | |
| | ახლად შეძენილი სათამაშოები (რბილის გარდა) ბავშვებისთვის მიწოდებამდე ირეცხება 15 წუთის განმავლობაში, 37˚ C-ის ტემპერატურის წყლითა და საპნით, შრება ჰაერზე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | ინვენტარის სისუფთავე: 7.1 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სათამაშოების რეცხვისა და დეზინფექციის სოპ-ი N 10 (დანართი N 10), რომლითაც გათვალისწინებულია ბავშვებისათვის ახლად შეძენილი სათამაშოების მიწოდებამდე რეცხვა, ასევე სკოლამდელი ასაკის (2 წლის ზევით) ბავშვებისათვის გათვალისწინებული სათამაშოების წმენდისა და რეცხვის პროცედურები. დაწესებულებას გააჩნია სათამაშოების რეცხვისა და დეზინფექციის გეგმა, შედგენილი სოპ-ის მიხედვით. ასევე სოპ-ით გათვალისწინებულია სათამაშოების დეზინფექცია გარკვეული პერიოდულობით - კვირაში 1-ჯერ, თუმცა სადეზინფექციო საშუალებებზად მითითებულია ქლორამინის 0,5% ან 0,5% ქლორის ხსნარი, მაშინ როცა ასეთი სადეზინფექციო საშუალებები დაწესებულებას არ აქვს შეძენილი და არ გააჩნიათ მარაგში, ამიტომაც სოპ-ში შესატანია შესაბამისი ცვლილება და მისათითებელია გამოყენებისათვის საჭირო კონკრეტული სადეზინფექციო საშუალებები. სათამაშოების რეცხვისა და დეზინფექციის სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. სოპ-ის დანართში მოცემულია სათამაშოების რეცხვისა და დეზინფექციის ჟურნალი შაბლონის სახით და დაწესებულებას გააჩნია წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის ჟურნალი, შემუშავებული სოპ-ის მიხედვით. პერსონალი იცნობს სოპ-ში მითითებულ წესს. 7.2 დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ბავშვთა თეთრეულის გამოცვლა დადგენილი პერიოდულობით - არანაკლებ კვირაში ერთხელ. თეთრეულის რეცხვა და შრობა ხდება დაწესებულებაში, რაც ხორციელდება ავტომატიზირებული სარეცხი მანქანის მეშვეობით. თეთრეულის გამოცვლის პროცესებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტულ ოპერაციული პროცედურა სოპ-ი N 11 (დანართი N 11). სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. სოპ-ში გათვალისწინებულია ჯგუფებისა და ბავშვების მიხედვით თეთრეულის მარკირება. სუფთა და ჭუჭყიანი თეთრეული ინახება განცალკავებით. ჭუჭყიანი თეთრეულის განსათავსებლად განსაზღვრულია შესაბამისი ცალკე მარკირებული კალათა. დაწესებულებას სოპ-ის მიხედვით შემუშავებული აქვს შესაბამისი ჟურნალი წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის. პერსონალის იცნობს სოპ-ის წესებს. 7.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლოგინის (ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები) განიავებისა და ქიმიური წმენდის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა სოპ-ი N 12 (დანართი 12). აღნიშნულ სოპ-ში ფიქსირდება უზუსტობები, კერძოდ, აღწერილია საფენების, მუშამბების, მანეჟის საფარველის გამოყენების პროცედურები, ასევე მათი რეცხვისა და დეზინფიცირების პროცედურები, მაშინ როცა ეს ნივთები დაწესებულებაში საერთოდ არ გააჩნიათ და არ გამოიყენება. შესაბამისად, სოპ-ი N 12 საჭიროებს კორექტირებას. 7.6 დაწესებულებას ჯგუფებში განთავსებული აქვს მცირე ზომის ხალიჩებს ბავშვთა თამაშობებისათვის. სოპ-ის მიხედვით გათვალისწინებულია ხალიჩების ყოველდღიური წმენდა მტვერსასრუტით, შესაბამისად, დაწესებულება აღჭურვილია მტვერსასრუტით. ასევე გათვალისწინებულია ხალიჩების სველი წმენდა ჯაგრისით თვეში 1-ჯერ და ქიმიური წმენდა წელიწადში 1-ჯერ. შედგენილია ლოგინის, ხალიჩების, საფენების დასუფთავების, რეცხვისა და დეზინფექციის გეგმა. გეგმა საჭიროებს კორექტირებას, რადგან მითითებულია საფენების, მუშამბებისა და მანეჟის საფარველის დასუფთავების პროცედურები (ასეთები ბაღს არ გააჩნია), ასევე გეგმაში შესასწორებელია ქიმიური წმენდის პერიოდულობა (მითითებულია 3 თვეში 1-ჯერ). დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ქიმიური წმენდის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულება, თუმცა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში მითითებული აქვს, რომ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან. სოპ-ი N 12 არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. სოპ-ის დანართში მოცემულია ლოგინის, ხალიჩების, საფენების დასუფთავების, რეცხვისა და დეზინფექციის ჟურნალი შაბლონის სახით და დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი ჟურნალი წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის. პერსონალი იცნობს სოპ-ის წესებს. 7.7 დაწესებულების სანიტარიულ კვანძში იატაკი მოპირკეთებულია მეთლახით - დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. გოგონებისა და ბიჭებისათვის ცალ-ცალკე მოწყობილია სან-კვანძები - 2-2 უნიტაზითა და ხელსაბანით. ხელსაბანი ნიჟარები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშია. დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია სან-კვანძების ტექნიკური გამართულობის შემოწმება და უნიტაზების ცხელი წყლითა და საპნით რეცხვა არანაკლებ დღეში 2-ჯერ და შესაბამისი პრეპარატებით ლაქების მოშორება დადგენილი პერიოდულობით - არანაკლებ თვეში 2-ჯერ, რაც დასტურდება შესაბამისი სოპ-ით - სანიტარიული კვანძის ტექნიკური გამართულობისა და რეცხვის სოპ-ი N 13 (დანართი N 13). სოპ-ში არ არის მითითებული სან-კვანძების რეცხვისთვის გამოსაყენებელი სარეცხი საშუალებებისა და ლაქების მოსაშორებელი პრეპარატების დასახელება. სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. სოპ-ის დანართში მოცემულია სანიტარიული კვანძების ტექნიკური გამართულობისა და სანიტარიული კვანძების რეცხვის ჟურნალები შაბლონების სახით და დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი ჟურნალები წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის. პერსონალი იცნობს სოპ-ში მითითებულ წესებს. 7.8 დაწესებულების ხელსაბანები უზრუნველყოფილია თხევადი საპნითა და ქაღალდის ხელსახოცით ბავშვებისა და პერსონალისთვის, აღჭურვილია უკონტაქტო ხელმისაწვდომობის პედლიანი ნაგვის ურნებით ჩაფენილი ცელოფნით. სან-კვანძები უზრუნველყოფილია ტუალეტის ქაღალდით. წარმოდგენილი იქნა დაწესებულებას მიერ განსაზღვრული დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობის, გამოსაყენებელი ჰიგიენური საშუალებების ნუსხისა და და მათი საშუალო წლიური რაოდენობის არსებობის (შეძენის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სასაქონლო ზედნადებები. 7.9 დაწესებულებას გააჩნია სანიტარიული კვანძების დალაგებისათვის საჭირო ინვენტარი - ცოცხი, აქანდაზი, ტილო, იატაკის ჯოხი, ვედრო, ჯაგრისი და სხვა. დასალაგებელი ინვენტარი მარკირებულია და ინახება სათანადოდ - სპეციალურ კარადებში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დასალაგებელი ინვენტარის მოვლისა და დასუფთავების სტანდარტული ოპერაციული პროცედურა - რეცხვის სოპ-ი N 15 (დანართი N 15). სოპ-ის მიხედვით გათვალისწინებულია დასალაგებელი ინვენტარის დასუფთავება და რეცხვა წინასწარ დადგენილი მეთოდებითა და სიხშირით - ყოველი გამოყენების შემდგომ რეცხვა ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, მაგრამ სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. დაწესებულებას სოპ-ის მიხედვით შემუშავებული აქვს შესაბამისი ჟურნალი წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის. პერსონალი იცნობს სოპ-ის წესებს; 7.10 საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება პირვანდელი შეფუთვით ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას - სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ კარადებში. 7.11 დაწესებულება არ იყენებს ღამის ქოთნებს. 7.12 დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ჯგუფურ ოთახებში მაგიდებისა და სკამების რეცხვა ცხელი წყლითა და საპნით, ხოლო ეპიდჩვენებისას მათი დამუშავება რეკომენდირებული სადეზინფექციო საშუალებებით, რისთვისაც შემუშავებული აქვს ჯგუფურ ოთახებში მაგიდებისა და სკამების რეცხვისა და დეზინფექციის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა სოპ-ი N 09 (დანართი N 9). სოპ-ში არ არის მითითებული სადეზინფექციო საშუალების დასახელება, რომლითაც მოხდება ეპიდჩვენებისას მაგიდებისა და სკამების დამუშავება. სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. სოპ-ის დანართში მოცემულია მაგიდებისა და სკამების რეცხვისა და ეპიდჩვენების დროს დეზინფექციის ჟურნალები შაბლონების სახით და დაწესებულებას გააჩნია წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის ჟურნალები. პერსონალი იცნობს სოპ-ში მითითებულ წესებს. | 7.6 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ხალიჩების ქიმიური წმენდის შესახებ ხელშეკრულება, გაფორმებული შესაბამის სამსახურთან. დაკორექტირებული უნდა იქნას ბალიში, ლეიბი/ქვეშაგებისა და ხალიჩების ქიმიური წმენდის პერიოდულობა (1 წელი 3 თვის ნაცვლად). | რჩევის სახით რეკომენდირებულია, რომ სოპ-ი N 10-ში მითითებული იქნას ის სადეზინფექციო საშუალებები, რომელიც გააჩნია დაწესებულებას სათამაშოების დეზინფექციისათვის; გასწორებული უნდა იქნას ლოგინის (ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები) განიავებისა და ქიმიური წმენდის სოპ-ში N 12 არსებული უზუსტობები საფენების გამოყენების, მუშამბებისა და მანეჟის საფარველის შესახებ. სანიტარიული კვანძის ტექნიკური გამართულობისა და რეცხვის სოპ-ში N 13 მითითებული იქნას სან-კვანძების რეცხვისთვის გამოსაყენებელი სარეცხი საშუალებებისა და ლაქების მოსაშორებელი პრეპარატების კონკრეტული დასახელებები; ოთახებში მაგიდებისა და სკამების რეცხვისა და დეზინფექციის სტანდარტული ოპერაციული პროცედურაში სოპ-ი N 09 მითითებული იქნას იმ სადეზინფექციო საშუალების დასახელება, რომლითაც მოხდება ეპიდჩვენებისას მაგიდებისა და სკამების დამუშავება; სტანდარტული ოპერაციული პროცედურები ხელმოწერილი იყოს შემმუშავებლების მიერ. | შეფასების ინდიკატორი: მოთხოვნები ინვენტარის მიმართ - ლოგინისა (ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები) და ხალიჩის ქიმიური წმენდა - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოები ყოველდღიურად იწმინდება და ირეცხება წყლით, ჯაგრისით, საპნით ან 2%-იანი სასმელი სოდის ხსნარით, ხოლო სკოლამდელი ასაკის (2 წლის ზევით) ბავშვების სათამაშოები უნდა ირეცხებოდეს ყოველ მეორე დღეს (თოჯინების ტანსაცმელი - გაჭუჭყიანების შესაბამისად), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სათამაშოებს დეზინფექცია უტარდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ქლორამინის 0,5%-იანი ხსნარით ან 0,5%-იანი ქლორის ხსნარით 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ ირეცხება და შრება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | თეთრეულის გამოცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | თეთრეული მარკირებულია ჯგუფებისა და ბავშვების მიხედვით. სუფთა და ჭუჭყიანი თეთრეული ინახება ერთმანეთსიგან განცალკევებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ლოგინი (ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები) ნიავდება გენერალური დასუფთავებისას და უტარდება ქიმიური წმენდა დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ხალიჩები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველდღიურად იწმინდება მტვერსასრუტით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით იწმინდება სველი ჯაგრისით და უტარდება ქიმიური წმენდა, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | საფენების გამოსაცვლელი მაგიდები, საბავშვო ქვეშაგები, მუშამბები, მანეჟის საფარველი ექვემდებარება რეცხვას საპნიანი წყლით დღეში ორჯერ. ფეკალიებით დაბინძურების შემთხვევაში, გასუფთავებული ადგილები დამატებით იწმინდება 1%-იანი სადეზინფექციო ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სანიტარულ კვანძში იატაკი, ხელსაბანი ნიჟარები და უნიტაზები/პისუარები ტექნიკურად გამართულია და ირეცხება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ დღეში ორჯერ, თბილი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, ლაქების მოსაცილებლად არანაკლებ თვეში ორჯერ ირეცხება შესაბამისი პრეპარატით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი ბავშვებისთვის და პერსონალისთვის (WASH ინდიკატორი) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებული ყველა ხელსაბანი უზრუნველყოფილია ხელის გასაშრალებლით (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და უკონტაქტო ხელმისაწვდომობის თავსახურიანი ნაგვის ურნით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებულ ყველა სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილია ტუალეტის ქაღალდით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სანიტარული კვანძის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებულია და ინახება სპეციალურ კარადაში სანიტარული კვანძის სიახლოვეს. ინვენტარი ხმარების შემდეგ ირეცხება ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება პირვანდელი შეფუთვით (რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით) ბავშვებისათვის და გარეშე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველი მოხმარების შემდეგ ირეცხება გამდინარე წყლით, ყოველ დღე ირეცხება თბილი საპნიანი წყლით, ხოლო ყოველი კვირის ბოლოს, 30 წუთის მანძილზე მუშავდება 1%-იანი ქლორამინის ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)ეპიდსაშიში სიტუაციის დროს ყოველი მოხმარების შემდეგ, 30 წთ-ის განმავლობაში მუშავდება 1%-იანი ქლორის ხსნარით, ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული წესითა და სადეზინფექციო საშუალებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | მაგიდები და სკამები ჯგუფურ ოთახებში იწმინდება ცხელი წყლითა და საპნით, ხოლო ეპიდჩვენებისას მუშავდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **შენობის გარე სივრცე** | | | | | | | | |
| | დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში არსებული აღჭურვილობა (მაგიდები, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ■ | ■ | ■ | ■ | შენობის გარე სივრცე 8.1 დაწესებულებას აქვს საკუთარი ეზო, რომელიც შემოღობილია, ნაწილობრივ მოპირკეთებულია ფილაქნით, დანარჩენი - ბალახი. ეზოში განთავსებულია ბავშვთა სათამაშო აღჭურვილობა - სასრიალო, საქანელები, აიწონა-დაიწონა, მცირე ზომის ბატუტი, სკამები, მეორადი მოხმარების საბურავები, მინი საფეხბურთო ბალახის მოედანი კარებით და სხვა. დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ეზოში განთავსებული სათამაშო ინვენტარისა და მოწყობილობების ყოველდღიური წმენდა, ასევე ეზოს გენერალური დასუფთავება განსაზღვრული პერიოდულობით - 3 თვეში ერთხელ, რაც დასტურდება ეზოს/გარე სივრცის, აღჭურვილობის დასუფთავება და ეზოს მორწყვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურით სოპ-ი N 16 (დანართი N 16). შემუშავებულია ჩატარებული სამუშაოების დოკუმეტირებისათვის საჭირო ჟურნალი სოპ-ის მიხედვით. სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. პერსონალი იცნობს სოპ-ის წესებს; 8.3 წელიწადის თბილ და ცხელ სეზონზე გათვალისწინებულია ეზოს მორწყვა ყოველდღიურად, რაც ასევე დასტურდება სოპ-ით N 17; 8.4 დაწესებულებას ეზოში მოწყობილი აქვს საქვიშე, რომელიც აღჭურვილია დახურვის მექანიზმით. გათვალისწინებულია ყუთში ქვიშის შეცვლა დაბინძურების შესაბამისად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით სოპ-ი N 17 (დანართი N 17). ასევე სოპ-ის მიხედვით შემუშავებულია ქვიშის შეცვლის ჟურნალი წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის. სოპ-ი N 17 არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. პერსონალი იცნობს სოპ-ის წესებს. | | რჩევის სახით მიზანშეწონილია სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ-ები N 16 და N 17) ხელმოწერილი იყოს შემმუშავებლების მიერ. | |
| | დაწესებულების ეზოს/გარე სივრცის გენერალური დასუფთავება ხდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | წელიწადის თბილ და ცხელ სეზონებზე ეზოს მორწყვა ხდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ეზოში/გარე სივრცეში არსებულ საქვიშე აღჭურვილია დახურვის მექანიზმით. ქვიშის შეცვლა ყუთებში ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, რაც დასტურდება სტანდარტული სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სასანიტაციო ორმოს/სეპტიკური ავზის დაცლა ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით. დაცლის შემდეგ მუშავდება სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| **7** | **მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებებში ყოველდღიურად ხორციელდება მყარი ნარჩენების შეგროვება ჯგუფურ ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და ხდება მათი უსაფრთხო გატანა შენობიდან, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ■ | ■ | ■ | ■ | ინდიკატორი 7: მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი 9.1 დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ყოველდღიურად მყარი ნარჩენების შეგროვება ჯგუფურ ოთახებში, სამზარეულოსა და სხვა სათავსებში და მათი უსაფრთხოდ გატანა, რისთვისაც შემუშავებულია დასუფთავების, ნარჩენების გატანის და დეზინფექციის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა სოპ-ი N 18 (დანართი N 18). სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. 9.2 გათვალისწინებულია დაწესებულების ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავება, ხოლო ნარჩენების შეგროვება და გადაყრა ეზოს გარეთ მდებარე მუნიციპალური ნარჩენების შემკრებ კონტეინერში, რომლის გატანას განახორციელებს საჩხერის მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომუნალური სამსახური. 9.3 შიგა სათავსებში ნარჩენების შეგროვებისათვის დაწესებულებას გააჩნია პედლიანი და თავსახურიანი ნაგვის ურნები, რომელთა გაცლა მოხდება მათი 3/4 -ით გავსებისთანავე, რაც ასევე დასტურდება სოპ-ი N 18-ით; 9.4 ნარჩენების შემკრები კონტეინერი არის თავსახურიანი და განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილას თავდახურულ მდგომარეობაში. სოპ-ი არ არის ხელმოწერილი შემმუშავებლების მიერ. დაწესებულებას სოპ-ის მიხედვით შემუშავებული აქვს ნაგვის ურნების, ნარჩენების შემკრები კონტეინერებისა და მათი განთავსების ადგილების რეცხვისა და დეზინფექციის ჟურნალი წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირებისათვის. პერსონალი იცნობს სოპ-ის წესებს. 9.5 დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნების, ნარჩენების შემკრები კონტეინერებისა და მათი განთავსების ადგილების რეცხვა დადგენილი პერიოდულობით (თვეში 1-ჯერ), ასევე გათვალისწინებულია მათი დეზინფიცირება, მაგრამ სადეზინფექციო საშუალებად მითითებულია ქლორიანი კირის 10%-იანი ხსნარი, მაშინ როცა ასეთი ხსნარი დაწესებულებას არ აქვს შეძენილი. საჭიროა სოპ-ის მეთოდებსა და სიხშირეში ცვლილების შეტანა, რათა მითითებული იქნას ის სადეზინფექციო საშუალებები, რომელიც გააჩნია დაწესებულებას და გამოყენებული იქნება აღნიშნული პროცედურების ჩასატარებლად; 9.6 დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საწყობებისა და სარდაფის პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია), რისთვისაც შემუშავებული აქვს ნარჩენების შემკრები კონტეინერების განთავსების სივრცეების, ასევე საწყობისა და სარდაფის მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით დამუშავების (დეზინსექცია, დერატიზაცია) სტანდარტული ოპერაციის პროცედურა (სოპ-ი). აღნიშნული სოპ-ი დაწესებულების მიერ გაგზავნილი იქნა განათლების ხარისხის ცენტრში ელექტრონულად (ნუმერაციით სოპ-ი N 4) თუმცა ადგილზე დაწესებულებაში სოპ-ი არ იქნა წარმოდგენილი. ელექტრონული ვერსიის სოპ-ის სათაური არასწორად არის მითითებული, კერძოდ, სათაურში საუბარია დასუფთავებასა და დეზინფექციაზე და არა დეზინსექციასა და დერატიზაციაზე. სოპ-ის მიხედვით აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩაატაროს კონტრაქტორმა კომპანიამ - დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სადეზინფექციო პროფილაქტიკური მომსახურეობის" კომპანიის მიერ გაცემული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (განრიგი N 25-15), სადაც აღნიშნულია სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება. სოპ-ი არ არის ხელმოწერილი და დამტკიცებული დაწესებულების მიერ. დაწესებულებას აქვს შემუშავებული შესაბამისი ჟურნალი წარმოებული სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების დოკუმენტირებისათვის. | 9.6 წარმოდგენილი უნდა იქნას ნარჩენების შემკრები კონტეინერების, ასევე საწყობებისა და სარდაფების სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ორგანიზების დამადასტურებელი სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ-ი) - ხელმოწერილი და დამტკიცებული სათანადოდ, ადექვატური სათაურით. | რჩევის სახით მიზანშეწონილია სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ-ი N 18) ხელმოწერილი იყოს შემმუშავებლების მიერ. ასევე, სოპ-ში მითითებული იქნას ის სადეზინფექციო საშუალებები, რომელიც გააჩნია დაწესებულებას და რომელიც გამოყენებული იქნება აღნიშნული პროცედურების ჩასატარებლად შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით. | შეფასების ინდიკატორი: მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი - დეზინსექციისა და დერატიზაციის უზრუნველყოფა - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | დაწესებულების ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება, ხოლო ნარჩენები გროვდება და იყრება ეზოში/ეზოს მიმდებარედ არსებულ ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრებ) კონტეინერებში, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის ურნები. ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების და ნაგვის ურნების დაცლა ხდება მათი 3/4 -ით გავსებისთანავე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები არის თავსახურიანი, არ არის გადავსებული და განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილას თავდახურულ მდგომარეობაში | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნები, ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები და მათი განთავსების ადგილები დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60 წთ-ის განმავლობაში ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების განთავსების სივრცის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდულ დამუშავებას მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |

შ. მახარაძე 15.06.2026 წ.

კითხვარის შევსების პროცესში, აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.